მერი კარბელაშვილი

ელენე ახვლედიანი

გამომცემლობა „მეცნიერება“
თბილისი
1980



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი
ИНСТИТУТ ИСТОРИИ ГРУЗИНСКОГО ИСКУССТВА ИМ. Г. Н. ЧУБИНАШВИЛИ

МЕРИ КАРБЕЛАШВИЛИ

ЕЛЕНА АХВЛЕДИАНИ

MARY KARBELASHVILI

HELEN AKHVLEDIANI

«МЕЦНИЕРЕБА» — «METSNIEREBA»
ТБИЛИСИ — TBILISSI
1980

ნაშრომი ეძღვნება საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატის ელენე ახვლედიანის შემოქმედებას. ელენე ახვლედიანმა, როგორც ფერმწერმა, გრაფიკოსმა და თეატრის მხატვარმა, დიდი ღვაწლი დასდო საბჭოთა ქართულ ხელოვნებას. მხატვრის მსოფლშეგრძნების თავისებურება და პოეტურობა განსაკუთრებით მკაფიოდ გამოელინდა პეიზაჟურ ფერწერაში, რომელზეც მახვილდება ყურადღება ამ წიგნში.

ავტორი გვიჩვენებს ელენე ახვლედიანის შემოქმედების ევოლუციას და მის მნიშვნელობას ქართული პეიზაჟური მხატვრობის განვითარებაში.

Работа посвящается творчеству народного художника Грузинской ССР, лауреата государственной премии им. Руставели Елены Ахведиани. Она, как живописец, график и театральный художник, внесла большой вклад в развитие советского грузинского искусства. Своеобразное, поэтическое мировосприятие и цельность ее творческой натуры, проявившиеся во всех этих областях, с особой отчетливостью выступают в пейзажной живописи, на которой заостряется внимание в данной книге.

Рассматривая произведения Е. Ахведиани, автор показывает эволюцию ее творчества и его место в грузинской пейзажной живописи.

The book is dedicated to the creative powers of Helen Akhvlediani, the Peoples, Artist of the Georgian SSR and the Rustaveli Prize winner. Working as painter, graphic artist and theatre art designer, she has made a valuable contribution to the development of the Georgian SSR art. The verve of her poetic vision and integrity of the artist's creative nature are especially clearly displayed in her landscape painting, which has therefore become the main topic of this book.

The book follows the course of development of Helen Akhvlediani's creative work and analyses her role in the Georgian landscape painting as a whole.

რედაქტორი აკად. ვ. ბერიძე

ქ 80102 / M 607 (06)—80 195—79

© გამომცემლობა „მეცნიერება", 1980

ელენე ახვლედიანი

საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის, რუსთაველის პრემიის ლაურეატის, ელენე ახვლედიანის მოღვაწეობას საბჭოთა საქართველოს მხატვრულ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა. იგი, როგორც ადამიანი და მხატვარი, საბჭოთა ქართული ხელოვნების ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო მოვლენაა. თავისი მოღვაწეობა მან ახალი ქართული ხელოვნების ჩამოყალიბების პერიოდში დაიწყო და, ქართული ხელოვნების გამოჩენილ მხატვრებთან — დავით კაკაბაძესთან, ქეთევან მაღალაშვილსა და ლადო გუდიაშვილთან ერთად, ნახევარი საუკუნის განმავლობაში, მის აქტიურ შემოქმედად გვევლინებოდა. მისმა მკაფიო ინდივიდუალობამ თავი იჩინა ფერწერაში, გრაფიკასა და თეატრალურ-დეკორაციულ მხატვრობაში. განსაკუთრებით დიდია წვლილი, რომელიც მან ქართული პეიზაჟური მხატვრობის განვითარებაში შეიტანა.

ელენე ახვლედიანი დაიბადა 1901 წლის 18 აპრილს ქალაქ თელავში, სადაც იმ ხანებში მამამისი, სამხედრო ექიმი, დიმიტრი ახვლედიანი მუშაობდა. მომავალმა მხატვარმა ბავშვობის წლები თელავსა და მის მიდამოებში გაატარა. მის პირველ ნახატებში ასახული ბავშვური შთაბეჭდილებები სწორედ ამ ადგილებს უკავშირდება იმ მაღლობიდან, რომელზეც ქალაქი თელავია გაშენებული, საქართველოს ბუნების ერთ-ერთი ულამაზესი სურათი მოჩანს — დიდებული ალაზნის ველი და შორეული კავკასიონის თოვლიანი მთები. მწვანეში ჩაფლული ქალაქის ვიწრო, დაკლაკნილი, რიყის ქვით მოკირწყლული ქუჩები, აივნიანი სახლები, ბატონის ციხის ძველი გალავანი თავისი კოშკებით, ჯერ კიდევ სულ ბოლო დრომდე თელავს მხოლოდ ძველი ქალაქებისათვის დამახასიათებელ მომხიბვლელობას უნარჩუნებდა. განსაკუთრებული სიყვარული ამ ქალაქისა და, საერთოდ, კახეთის ბუნებისადმი მხატვარს სამუდამოდ დარჩა. უკვე გამოჩენილი ოსტატი, თავისი შემოქმედების სხვადასხვა პერიოდში, ის არაერთგზის უბრუნდებოდა კახეთის პეიზაჟებს, ალაზნის ველსა და თელავის ცხოველხატულ კუთხეებს.

ხატვა ელენე ახვლედიანმა ძალიან ადრე დაიწყო, მაგრამ მისმა მეცადინეობამ სისტემატური ხასიათი მიიღო უკვე თბილისის მეორე გიმნაზიაში სწავ-

ლის დროს. მისმა ნიჭმა ხატვის მასწავლებლის ნიკოლოზ სკლიფოსოვსკის ყურადღება მიიპყრო. მისი რჩევით, ე. ახვლედიანმა სამხატვრო სკოლაში ხატვის გაკვეთილზეა დასწრებაც დაიწყო. ნ. სკლიფოსკოვსკი თავისი საქმით გატაცებული, გამოცდილი პედაგოგი იყო და თავის მოწაფეებს ხელოვნებისადმი ინტერესს უღვივებდა. სხვადასხვა დროს მასთან სწავლობდნენ: ა. ბაბეუქ-მელიქოვი, ი. გამრეკელი, კ. ზდანევიჩი, ვ. ხოჯაბეკოვი, ს. ვირსალაძე, ს. ჭობულაძე, ვ. წილოსანი და სხვები. მისი მოწაფეების უმრავლესობამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საბჭოთა ქართული სახვითი ხელოვნების ჩამოყალიბებასა დაგ ანვითარებაში. ე. ახვლედიანი მადლიერებით იგონებდა ნ. სკლიფოსოვსკის, რომელიც ცდილობდა თვითეული მოწაფის მხატვრული შესაძლებლობის მაქსიმალურად გამოვლენასა და სწორად წარმართვას, უნერგავდა მათ ნატურის გულდასმით შესწავლის სიყვარულს, აცნობდა ძველი ოსტატებისა და თანამედროვე მხატვრების ნამუშევრებს. სწორედ ამ მიზნით მან თავისი მოწაფეები, მათ შორის ე. ახვლედიანიც, მოსკოვში წაიყვანა. ამ მოგზაურობისას ყველაზე ძლიერი შთაბეჭდილება ახალგაზრდა ე. ახვლედიანზე ვრუბელის ნამუშევრებს მოუხდენია.

ადრეულ წლებში შესრულებული ნახატები და სწრაფი ჩანახატები ამჟამად დაცულია ელ. ახვლედიანის სახელოსნოში, რომელიც მუზეუმადაა ქცეული. რა თქმა უნდა, შემონახულია ნამუშევრების მცირე ნაწილი, რადგან მხატვარს ახალგაზრდობაში, ისევე როგორც შემდეგ (როცა უკვე სახელმოხვეჭილი მხატვარი გახდა), თავისი ნამუშევრების გაჩუქება უყვარდა. მაგრამ ჩვენამდე მოღწეული ეს ჩანახატებიც საშუალებას გვაძლევს წარმოვიდგინოთ მისი ინტერესების სფერო და თვალი გავადევნოთ იმ ზოგიერთი მომენტის ჩასახვას, რომელიც შემდგომ მის შემოქმედებაში პოვებს განვითარებას. მისი ყველაზე ადრეული ნამუშევრები 1910—1914 წლებითაა დათარიღებული; ოციანი წლებისათვის ნახატების რაოდენობა მატულობს. ფანქრით შესრულებული ჩახახატები მოწმობს, თუ როგორ უკვირდებოდა მომავალი მხატვარი სამყაროს, როგორ ცდილობდა მისთვის საინტერესო მოვლენების ფიქსირებას. ის გატაცებით ხატავს პატარა ქანრულ სცენებს, მათი სიუჟეტების შერჩევა და შესრულებაც მხატვრის ხედვის სიმახვილეს, ზოგჯერ კი იუმორის გრძნობას ამჟღავნებს. ის ხატავს პეიზაჟებს, გლეხებს, რომლებიც სხვადასხვა სამუშაოს შესრულებით არიან გართული. ზოგჯერ ასრულებს პორტრეტებს. ზოგი ჩანახატის პერსონაჟები მისი მეგობრები და ოჯახის წევრები არიან. ასეთია, მაგალითად, „ბანქოს თამაში“ (1920 წ.), კომპოზიციურად კარგად აგებული ნახატი, რომელზეც ძველი სახლის ინტერიერში ფიგურების ჯგუფია წარმოდგენილი. ამ ჯგუფში გამოირჩევა მხატვრის მეგობარი ანა ვარდიაშვილი, რომლის პორტრეტს კვლავ ფანქრით ხატავს 1922 წელს. ისევ პროფილშია გამოსახული დახვეწილი, თხელნაკვთებიანი სახე, გულდასმითაა დახატული ქალის ხუჭუჭა თმის ხვეულები და დაწვრილებითაა დამუშავებული ტანსაცმლის ნაოჭები, გადმო-

ცემულია ტანსაცმლის ქსოვილის პრიალა ზედაპირი. ეს დასრულებული ნახატია, რომელიც დეტალების დამუშავებით ძველი ოსტატების ნახატებს მოგვაგონებს. 1922 წლითაა დათარიღებული ფანქრით შესრულებული ჩანახატი „საბუელი მოხუცი ქალი“. ქალს შუბლი შავი თავსაკრავით აქვს დაფარული. მთელი ყურადღება სახეზეა გამახვილებული. მას თითქმის მთელი ფურცელი უკავია. დაუზოგავი სიზუსტითაა გადმოცემული ნაოჭებით დაღარული სახე, დიდრონი ჭროღა თვალები, რომლებიც პირდაპირ მაყურებლისკენაა მიმართული, თხელი ტუჩები და დიდი მოკაუჭებული ცხვირი. ზოგიერთ ნახატში ფორმას გაბედულად ეცლება კონტური (კამეჩი, საბუე, 1922 წ.), რომელიც ერთგვარ დეკორაციულობას ანიჭებს ნახატს. ამგვარი დენადი ხაზი, რომელიც ეცლება ფორმას ან ფერადოვან ლაქას, შემდგომში მის ზოგიერთ ფერწერულ ნაწარმოებს მათთვის სპეციფიკურ დეკორაციულ ხასიათს აძლევს.

ადრეულ ნამუშევრებს შორის ყურადღებას იპყრობს 1917 წელს ფანქრით შესრულებული ნახატი „ბაზარი“. აქ წარმოდგენილი არიან გლეხები, რომლებიც მიწაზე გაფენილ თავის საქონელს მყიდველებს სთავაზობენ. ეს ნახატი საინტერესოა იმით, რომ ფიგურების ფონისათვის გამოყენებულია ძველი თბილისის არქიტექტურა, რომელსაც ესოდენ დიდი ადგილი ეთმობა მხატვრის შემოქმედებაში. აღსანიშნავია, რომ შემდგომში ამ ნახატის საფუძველზე მხატვარმა შექმნა ფერწერული ტილო, რომელიც პარიზში იყო გამოფენილი და იქვე დარჩა. ადრე ჩახატული მოტივების გამოყენება, მათი ხელახალი გააზრება და გადამუშავება მრავალი წლის შემდეგ, ძალიან დამახასიათებელი იყო ელენე ახვლედიანისათვის. ამ ადრეულ ნამუშევრებში გვხვდება ჩანახატები სხვადასხვა საგნების, ჭურჭლისა და ტანსაცმლის, რომელიც ჩვენი საუკუნის პირველ მეოთხედში ქართული ყოფის ცოცხალი, ორგანული ნაწილი იყო, ამჟამად კი მხოლოდ ეთნოგრაფიულ კოლექციებშია დაცული. ჩახატულია ჩარდახიანი ურემი (1912 წ.), ასეთი ურმით ელენე მიჰყავდათ მეზობელ სოფლებში. ეს ნახატი განსაკუთრებით გულდასმითაა შესრულებული, დოკუმენტური სიზუსტითაა გადმოცემული ფარდაგის ნაყში. მაყურებელი გრძნობს იმ სიამოვნებას, რომელსაც მხატვარი განიცდიდა თიხის ჭოთნების მშვენიერი ფორმების, ან გლეხის ტანსაცმლის, ქალამნებისა და კახური ქუდის დაწვრილებით ჩახატვისას—„გლეხის ფიგურა“ (1921 წ.). ის ხატავს ძველი დარბაზის ინტერიერს სოფელ დიღომში (1922 წ.). შემდეგში უკვე მოწიფული მხატვარი დედაბოძის მოტივს დაუბრუნდა მონუმენტურ „ქართულ ნატურმორტში“ (1959 წ.). ეს ნახატები ნათელი მოწმობაა იმისა, რომ ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა მხატვარმა დაინახა და შეაფასა ხალხურ ნაკეთობათა აუცილებლობით ნაკარნახევი და საუკუნეების მანძილზე გადამუშავებული ფორმების თავისებური სილამაზე. მთელი სიცოცხლე აგროვებდა ის ხალხური ოსტატების მიერ შექმნილ კერამიკულ ჭურჭელს, ფარდაგებსა და ხალხურ ჭედურობას. როცა ვუყურებთ მის ადრეულ ჩანახატებს, გასაგები ხდება თუ რა მჭიდროდაა დაკავშირებული

მხატვრის შემოქმედებასთან ის მშვენიერი კოლექცია, რომელიც მისი მხატვრული სახელოსნოს განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

მხატვარი ამ ადრეული ნახატების შესრულებისას სრულიად მკაფიოდ ისახავს მიზნად ნატურის შესწავლასა და მისი ხასიათის გადმოცემას. აღსანიშნავია ამასთანავე, რომ, მიუხედავად დეტალების დაწვრილებით დამუშავებისა და ნახატების გულდასმით შესრულებისა, ახალგაზრდა მხატვარი, უმეტეს შემთხვევაში, თავს აღწევს ფორმების დანაწევრებას. დეტალურ დამუშავებას. როგორც ჩანს, მას გარემოს შეძლებისდაგვარად სრული ასახვის სურვილი კარნახობს; უკვე ამ ადრეულ ჩანახატებში მხატვარი ავლენს საგნების შინაგანი კონსტრუქციის გრძნობისა და სივრცეში მათი სწორი განლაგების უნარს. ამ ნახატებს შორის ზოგიერთი გამოირჩევა იმ გამომხატველობითა და სტილისტური ერთიანობით, რომელიც განსაკუთრებით დამახასიათებელია მისი ნამუშევრებისათვის შემდგომში.

1919 წელს ელენე ახვლედიანმა პირველად გამოფინა თავისი ნამუშევრები ქართველ მხატვართა გამოფენაზე და ამიერიდან სამუდამოდ დაუკავშირა თავისი ცხოვრება ქართულ ხელოვნებას.

თბილისის სამხატვრო აკადემიის დაარსებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა საქართველოს ეროვნული მხატვრული კადრების აღზრდისათვის. 1922 წელს ელენე ახვლედიანი სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტზე შევიდა. მისი უშუალო ხელმძღვანელი იყო გიგო გაბაშვილი, იმ დროს უკვე საყოველთაოდ აღიარებული ოსტატი, ქართული რეალისტური ფერწერის ერთერთი ფუძემდებელი. უკვე სტუდენტურ ნამუშევრებში გამოავლინა ელ. ახვლედიანმა თავისი ტემპერამენტი, დამოუკიდებლობა და დადგენილი აკადემიური კანონების უგულებელყოფის სურვილი. ამავე დროს სისტემატური ხასიათი მიიღო მისმა მუშაობამ ნატურაზე და კერძოდ პეიზაჟზე. მრავალი წლის შემდეგ, თავისი ცხოვრების ამ პერიოდის წეფასებისას, მხატვარი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ბორის ფოგელის ხელმძღვანელობით ახალგაზრდა მხატვრების ჯგუფთან ძველი თბილისის პეიზაჟებზე მუშაობას.

ელენე ახვლედიანი პირველი კურსიდანვე გაგზავნა სამხატვრო აკადემიის სტიპენდიატად საზღვარგარეთ, სადაც იმყოფებოდა 1922—1927 წლებში. წეწელიწადნახევარი მან იტალიაში იმოგზაურა და იმუშავა. ცხოვრობდა რომში, ფლორენციაში, ვენეციასა და მილანში. დადიოდა მუზეუმებში და ძალიან ბევრს ხატავდა. ამ დროიდან შემორჩენილია რამდენიმე ფერწერული ნამუშევარი: რომის კოლიზეუმის, ვენეციის, მილანის, სან-რემოს ძველი სახლებისა და ქუჩების ჩანახატები. 1924 წელს ახალგაზრდა მხატვარი პარიზში ჩავიდა.

დამწყები მხატვრისათვის საუკეთესო სკოლა იყო პარიზის ინტენსიური, დაძაბული მხატვრული ცხოვრება, მუზეუმებში ძველი ოსტატების ნამუშევრების შესწავლა, თანამედროვე მხატვრების გამოფენების დათვალიერება. აქ ინტერესს იწვევდა არა მარტო ნამუშევრები, არამედ კამათი მათ შესახებ. ეს

იყო კუბისტების, სიურრეალისტებისა და სხვა მემარცხენე მიმდინარეობათა წარმომადგენლების გამოფენების ხანა. პარიზში თავს იყრიდნენ მთელი მსოფლიოს მხატვართა წარმომადგენლები, რომლებიც ხელოვნებაში ახალი გზების ძიებას ისახავდნენ მიზნად.

ელენე ახვლედიანის გარდა, ამ დროს პარიზში იმყოფებოდნენ ახალგაზრდა ქართველი მხატვრები — დავით კაკაბაძე, ლადო გუდიაშვილი, ქეთევან მაღალაშვილი. აღსანიშნავია, რომ პარიზის წინააღმდეგობებით აღსავსე და შთაბეჭდილებებით მდიდარ მხატვრულ ატმოსფეროში, რომელიც თითქოს მოდური მიმდინარეობების ბრმა მიბაძვისა და ნიჭის ნიველირების საშიშროებას ქმნიდა, ჩვენმა მხატვრებმა არა თუ დაკარგეს ეროვნული სახე, არამედ, პირიქით, სწორედ აქ სრული სიმკვეთრით იჩინა თავი მათი მხატვრული მიდგომის თავისებურებამ. ელენე ახვლედიანისათვის მემარცხენეთა ექსპერიმენტები უცხო დარჩა, ის გატაცებით სწავლობდა ფრანგულ პეიზაჟურ მხატვრობასა და იმპრესიონისტების ნამუშევრებს. მის აღტაცებას იწვევდა ერთი მხრივ ელ-გრეკოს ექსპრესიით აღსავსე ტილოები, მეორე მხრივ პიტერ ბრეიგელის სურათების კოლორიტული სიმდიდრე. ნიშანდობლივია, რომ ქეთევან მაღალაშვილმა პარიზის პერიოდის მშვენიერ პორტრეტში (1924 წ.) გამოსახა ელენე ახვლედიანი ელ-გრეკოს სურათის რეპროდუქციით ხელში ჭ. მაღალაშვილი თავის პორტრეტებში დამატებით საგნებს იშვიათად გამოსახავდა, და თუ გამოსახავდა იყენებდა მათ მოდელის ფსიქოლოგიური დახასიათებისათვის. ამ შემთხვევაშიც მან ძალდატანების გარეშე, მაგრამ სრულიად გარკვეულად, გახაზა მისი მეგობრის დიდი ინტერესი ძველი ოსტატებისადმი.

პარიზში ელენე ახვლედიანი ქეთევან მაღალაშვილთან ერთად კოლოროსის აკადემიის ე. წ. უპროფესორო კლასში დადიოდა. კოლოროსის აკადემია (დე ლა გრან-შომიერის ქუჩაზე) წარმოადგენდა სახელოსნოს, სადაც საკმაოდ მცირე გადასახადის საფასურად შეიძლებოდა ხატვისა და ფერწერის სწავლა. კოლოროსის აკადემიაში თავის დროზე მეცადინეობდნენ—პოლ გოგენი და მისი მეგობარი ემილ შუფენეკერი[1], რუსი მხატვრები — ე. ა. სეროვი და ი. ე. გრაბარი[2]. იმ დროს, როცა აკადემიის ერთ-ერთ აუდიტორიაში ახვლედიანი და მაღალაშვილი ხატავდნენ, გვერდით კლასში გაკვეთილებს ატარებდა ფერნან ლეჟე. კოლოროსის სახელოსნო ნახატებისა და სწრაფი ჩანახატების სწავლებით იყო სახელგანთქმული. ე. ახვლედიანის სახლმუზეუმში დაცულია ალბომი აქ შესრულებული ჩანახატებით — კროკებით. კროკები ძალიან მოკლე დროში კეთდებოდა. ყოველ 4—5 წუთში მოდელის პოზა იცვლებოდა და მხატვარი ახალ ნახატს იწყებდა. ამგვარად, ნახატებში ფიგურა სხვადასხვა მდგომარეობაში გადმოიცემოდა. ასეთი ჩანახატების შედეგად მხატვარი ეჩვეოდა ნატურის

---

[1] Б. Даниельсон, Гоген в Полинезии, М., 1969, стр. 34.

[2] Т. Вирсладзе, Кэто Магалашвили. Тбилиси, 1958, стр. 13.

უმთავრესი თვისებების სწრაფად შემჩნევას, მეორეხარისხოვნის უგულებელყოფას, ფორმის განზოგადებულად გადმოცემას. ელ. ახვლედიანის ამ დროის ნახატებისათვის დამახასიათებელია წვეტიანი ფანქრით მკაფიოდ დატანილი კონტურები. ხაზი უკვე მტკიცე, გაწაფული ხელითაა შემოვლებული, ჩრდილები დატანილია სწრაფად, ბრტყლად დადებული ფანქრით, ხოლო შემდეგ თითითაა გაგლესილი. ამ ნახატებშიც, რომლებიც სასწავლო ნახატებს წარმოადგენენ, თავისებური დეკორაციულობაა შესამჩნევი. ამასთან ერთად, მოძრაობის ძალიან მართებულად ასახვის წყალობით, მხატვარი თითქმის ყოველთვის ახერხებს ნატურის ხასიათის გადმოცემას. ელენე ახვლედიანი ბევრს ხატავდა არა მარტო სახელოსნოში, არამედ ქუჩაში, სახლში, კაფეში; ამ ნახატების თემატიკაცა და ტექნიკაც მრავალფეროვნებით გამოირჩევა. სწრაფ ჩანახატებში მსუბუქად, ოდნავ დატანილი ხაზებით არქიტექტურის ხასიათია გადმოცემული. გულდასმით შესრულებულ ნახატებში დაწვრილებით არის დამუშავებული დეტალები. ასეა დახატული, მაგალითად, პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის ფასადის ფრაგმენტი. აღსანიშნავია ნახატი „პარიზის კაფე“, რომელსაც აგრეთვე დაწვრილებითი ხასიათი აქვს. დახატულია კაფეს ინტერიერი ჩალის წნული სკამებითა და ჰრელი ფარდებით. ფანჯრიდან მოჩანს ქუჩა, ქუჩაზე — გამვლელ-გამომვლელები და მანქანა. თვითონ კაფეში ხალხმრავლობაა, ყველა საკუთარი საქმითაა გართული. ჯგუფები რამდენიმე პლანადაა განლაგებული, ხოლო სიღრმეში პიანინოა, რომელზეც ქალი უკრავს. უამრავი დეტალი ამ ნახატის ხანგრძლივი დათვალიერების აუცილებლობას ქმნის და გარკვეულ თხრობითობას ანიჭებს მას.

ამ ნამუშევრის კომპოზიციური მთლიანობა ჯგუფების განლაგებითა და შავ-თეთრი ლაქების ფურცელზე რიტმული განაწილებითაა მიღებული. გარდა ამისა, ხაზი, რომელიც არქიტექტურულ ფორმებსა და მაგიდების პარალელურ რიგებს ევლება, კრავს, აერთიანებს კომპოზიციას.

განსაკუთრებით ბევრს მუშაობს ამ პერიოდში ელენე ახვლედიანი ფერწერაში. ის პარიზის სილამაზითაა მოხიბლული და ქალაქის უამრავ პეიზაჟს ასრულებს. შემთხვევითი არაა, რომ აქ, პარიზში, იგი ისევ და ისევ უბრუნდება საქართველოსა და ძველი თბილისის პეიზაჟებს, რომლებსაც წერს არაჩვეულებრივად განვითარებული მხედველობითი მეხსიერებისა და სამშობლოდან წამოღებული ჩანახატების საფუძველზე. ერთიმეორეს ენაცვლება პარიზის უშუალო შთაბეჭდილებებით და სამშობლოს მოგონებებით შთაგონებული ნამუშევრები. სწორედ ქართულ პეიზაჟებს გზავნის ელ. ახვლედიანი დამოუკიდებელთა გამოფენაზე (ამ გამოფენიდან ერთ-ერთი მისი ნამუშევარი შეიძინა პოლ სინიაკმა) და შემოდგომის სალონში. ის აწყობს პერსონალურ გამოფენასაც, რომელზეც წარმოდგენილი ნამუშევრების უმრავლესობა ქართული პეიზა-

ებია. გამოფენამ მაყურებელი მიიზიდა და მხატვრული კრიტიკის მაღალი შეფასება დაიმსახურა[3].

1927 წელს ფერწერის ტექნიკას სრულად დაუფლებული და პროფესიული ცოდნით აღჭურვილი ახალგაზრდა მხატვარი სამშობლოში დაბრუნდა. 1927 წლის 1 ივნისს მან თბილისში მოაწყო თავისი ნამუშევრების პერსონალური გამოფენა, რომელიც წარმოადგენდა საზღვარგარეთ ხანგრძლივი ყოფნის ერთგვარ ანგარიშს. 1928 წელს იგი თავისი ნამუშევრების გამოფენას ქუთაისსა და თელავში აწყობს.

ამ გამოფენებს დიდი წარმატება ხვდა წილად და ელენე ახვლედიანი წამყვანი ქართველი მხატვრების რიგებში ჩადგა. იგი ადრე ჩამოყალიბდა როგორც მხატვარი და მოღვაწეობის პირველსავე წლებში გამოვლინდა, გამოიკვეთა მისი მთავარი თემატური მიმართულება — პეიზაჟური ჟანრი.

20-იანი წლები — ელენე ახვლედიანის მხატვრად ჩამოყალიბების წლები — ახალი ქართული კულტურის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და საინტერესო პერიოდი იყო. სოციალური ძვრები და ცხოვრების სრულიად ახალი პირობები გამოსახვის ახალი საშუალებების ძიებას ითხოვდა. იგი კულტურის ყველა სფეროს შეეხო. ინტენსიურად განვითარდა ქართული პროზა და პოეზია, თეატრალური ხელოვნება, ლიტერატურული კრიტიკა, მეცნიერება და სახვითი ხელოვნება.

ახალი, საბჭოთა ხელოვნების განვითარებას დიდად შეუწყო ხელი ი. ნიკოლაძის, მ. თოიძის, ვ. სიდამონ-ერისთავის, ა. ციმაკურიძის, ლ. გუდიაშვილის, დ. კაკაბაძის, ქ. მაღალაშვილის, ელ. ახვლედიანის, ი. შარლემანისა და ე. ლანსერეს ნაყოფიერმა მოღვაწეობამ.

ამ მხატვრების უმრავლესობა სახვითი ხელოვნების სხვადასხვა დარგსა და თეატრში მუშაობას უთავსებდა დღესასწაულების დროს ქალაქის გაფორმებას, ძველი ქართული ხელოვნების ძეგლების შესწავლასა და სამხატვრო აკადემიაში პედაგოგიურ მუშაობას. ეს მრავალმხრივი მოღვაწეობა არა მარტო აღნიშნულ მხატვართა ნიჭის მრავალფეროვნებით იყო შეპირობებული, არამედ დროის მოთხოვნითაც. თანამედროვეობის რეალისტური გამოსახვის საშუალებების ძიებაში, იმ სიძნელეებისა და შეცდომების დაძლევის პროცესში, რომელიც ყოველთვის თან სდევს ახალს, ყალიბდებოდა შემოქმედებითი ინდივიდუალობა იმ მხატვრებისა, რომელთაც საბჭოთა ქართული სკულპტურის, ფერწერისა და გრაფიკის სხვადასხვა ჟანრის განვითარებას ჩაუყარეს საფუძველი.

იმ დროიდან მოყოლებული სიკვდილამდე (1975 წ.) ელენე ახვლედიანი საქართველოს მხატვრული ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მონაწილეთაგანი იყო.

---

[3] ნ. ურუშაძე, ელენე ახვლედიანი თეატრში, თბ., 1966, გვ. 12.

მისი მოღვაწეობა განუყოფელია თანამედროვე ქართული ხელოვნების განვითარებისაგან. იგი არაჩვეულებრივ გულისხმიერებას იჩენდა ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მნიშვნელოვანი მოვლენისადმი და კულტურის დარგში მრავალი ღონისძიების უშუალო მონაწილე იყო. იგი მონაწილეობდა თითქმის ყველა რესპუბლიკურ გამოფენაში, მისი ნამუშევრები იგზავნებოდა გამოფენებზე მოძმე რესპუბლიკებსა და უცხოეთში.

1960 წლიდან ელენე ახვლედიანი საქართველოს სსრ სახალხო მხატვარია, ხოლო 1971 წელს მას რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემია მიენიჭა სურათების სერიისათვის „ძველი და ახალი თბილისი".

ელენე ახვლედიანს ძალიან უყვარდა მოგზაურობა. მრავალი წლის მანძილზე იგი იყო სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი მხატვართა იმ ჯგუფისა, რომელიც ქალაქგარეთ გადიოდა სამუშაოდ. საქართველოს სხვადასხვა კუთხისა და მისი მშენებლობების დათვალიერება, ერთად მუშაობა არა მარტო ახალი შთაბეჭდილებებით ამდიდრებდა ჯგუფის წევრებს, არამედ ხელს უწყობდა მხატვრების პროფესიული ოსტატობის ამაღლებას.

ელენე ახვლედიანი თავის სახელოსნოში ხშირად აწყობდა როგორც საკუთარი, ასევე სხვა მხატვრების სურათების გამოფენას.

1960 წელს სურათების სახელმწიფო გალერეის დარბაზებში მოეწყო მისი ნამუშევრების პერსონალური რეტროსპექტიული გამოფენა[4]. ეს გამოფენა საშუალებას იძლეოდა გაცნობოდით ელ. ახვლედიანის მდიდარი შემოქმედების მრავალგვარობას და გეგრძნო, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მას ქართული ხელოვნების განვითარებისათვის.

1965 წელს ელენე ახვლედიანმა ხელოვნების მუშაკთა სახლში მოაწყო თემატური გამოფენა, რომელიც თბილისს უძღვნა[5]. ამ გამოფენაზე ძველ ნამუშევრებთან ერთად ნაჩვენები იყო ძალიან ბევრი ახალი სურათი.

ახვლედიანის სახელოსნოში, რომელიც მხატვარმა კულტურის კერად აქცია, იკრიბებოდნენ არა მარტო სხვადასხვა თაობის მხატვრები, არამედ მეცნიერები, მწერლები, მუსიკოსები. გამოფენები და კონცერტები ამ სახელოსნოში პატარა დღესასწაულს ჰგავდა. აქაური ატმოსფერო გამსჭვალული იყო ამაღლებული განწყობილებითა და იმ სილაღით, რომლის წყაროს მასპინძლის კეთილშობილი, არტისტიზმით აღსავსე პიროვნება წარმოადგენდა.

ელენე ახვლედიანის მოღვაწეობა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, იმთავითვე მრავალმხრივი იყო. მან მნიშვნელოვანი როლი ითამაშა არა მხოლოდ ფერწერის, არამედ ქართული თეატრალურ-დეკორაციული ხელოვნებისა და წიგნის ილუსტრაციის განვითარებაში.

---

[4] კატალოგი, შეადგინა თ. კარტოზიამ, შ. ამირანაშვილის შესავალი, თბ., 1960.

[5] კატალოგი, „თბილისი", შეადგინა ლ. ყურულაშვილმა, თბ., 1965.

ელენე ახვლედიანის, ისევე როგორც მისი თაობის სხვა ქართველი მხატვრების, თეატრში მოღვაწეობის დაწყება დაკავშირებულია კოტე მარჯანიშვილის სახელთან. „ამ გამოჩენილი რეჟისორის პირველი თეატრალური დადგმები ამავე დროს გვაუწყებდა ახალი ქართული, ეროვნული თეატრალურ-დეკორაციული ხელოვნების დასაწყისს. მარჯანიშვილის დადგმებისათვის დამახასიათებელი მრავალგვარობა და ფართო დიაპაზონი საშუალებას იძლეოდა სრულად გამოვლენილიყო იმ მხატვართა ნიჭი, რომელთაც კ. მარჯანიშვილი თავის თეატრში იწვევდა“[6].

ელენე ახვლედიანმა კ. მარჯანიშვილის თეატრში მხატვრად მუშაობა 1928 წ. დაიწყო. მეტად ნაყოფიერი აღმოჩნდა ელ. ახვლედიანის თანამშრომლობა კოტე მარჯანიშვილთან. თეატრში მუშაობა მან მთელი სიცოცხლის მანძილზე გააგრძელა და დიდი ღვაწლი დასდო ქართული თეატრალურ-დეკორაციული ხელოვნების განვითარებას[7]. ელენე ახვლედიანმა გააფორმა 72 სპექტაკლი თბილისისა და საქართველოს სხვა ქალაქების თეატრებში. ასევე მოსკოვის, ლენინგრადის, კიევისა და ხარკოვის თეატრებში. ის ქმნიდა დრამატული და მუსიკალური ნაწარმოებების დეკორაციებსა და კოსტიუმებს, აფორმებდა სპექტაკლებს კლასიკოსთა და თანამედროვე ავტორთა პიესების მიხედვით, მუშაობდა სხვადასხვა რეჟისორებთან, რომლებიც სხვადასხვაგვარ ამოცანებს უსახავდნენ. მის ნამუშევრებში ყოველთვის ჩანდა დრამატული და მუსიკალური ნაწარმოების ჟანრის უტყუარი გრძნობა, მოქმედების ადგილისა და დროის მართებულად წარმოსახვის უნარი, მხატვრულ საშუალებათა შერჩევისას კი — მახვილგონიერება. მის მიერ შესრულებული კოსტიუმების ესკიზები გმირების მკაფიო დახასიათებას იძლეოდა. ნ. ურუშაძის წიგნში, რომელიც ელენე ახვლედიანის თეატრში მოღვაწეობას მიეძღვნა, მრავალი არის წარმოდგენილი გამოჩენილი ქართველი მსახიობების მოგონებები ელენე ახვლედიანის მუშაობის შესახებ თეატრში[8]. მსახიობები მადლიერებით აღიარებენ, რომ მხატვარი დიდად უწყობდა მათ ხელს გარკვეული ეპოქის განწყობილებით გამსჭვალვასა და მხატვრული სახის შექმნაში. მის მიერ შექმნილ დეკორაციებსა და კოსტიუმების ესკიზებში გამომჟღავნდა მაღალი მხატვრული და მუსიკალური კულტურა, სპექტაკლის სტილის გრძნობა, თეატრის სპეციფიკის ღრმა ცოდნა.

წიგნის გრაფიკის დარგში ელ. ახვლედიანი განსაკუთრებით ინტენსიურად 1934—37 წლებში მუშაობდა, როცა „სახელგამთან“ არსებული საბავშვო ლი-

---

[6] Г. Алибегашвили, Оформление постановок театров им. Руставели и им. Марджанишвили (1922—1966 гг.), Ars Georgica 7 B,T6, 1974, с. 19. [7] ნ. ურუშაძე, ელენე ახვლედიანი თეატრში. თბ., 1966; Г. Алибегашвили, Оформление постановок театров им. Руставели и им. Марджанишвили (1922—1966 гг.), Ars Georgica 7B. T6., 1974, сс. 47, 48, 56—57, 61.

[8] ნ. ურუშაძე, ელენე ახვლედიანი თეატრში, თბ., 1966, გვ. 20—22.

ტერატურის სექტორის მთავარი მხატვარი იყო. თუმცა აღსანიშნავია, რომ წიგნის ილუსტრაციას ის შემდეგაც მიმართავდა. საბჭოთა ქართული საბავშვო წიგნის გრაფიკა თავის განვითარებას მხოლოდ 30-იან წლებში იწყებდა. ამ დარგში სულ რამდენიმე მხატვარი მუშაობდა, მათ შორის ელენე ახვლედიანიც. ამდენად იგი საბჭოთა ქართული საბავშვო წიგნის ერთ-ერთი პირველი ილუსტრატორთაგანი იყო. მას იზიდავდა სხვადასხვა ავტორების თხზულებები, ძირითადად, ქართველ და უცხოელ კლასიკოსთა წიგნები.

მის მიერ შესრულებული ილუსტრაციების თემატიკა მრავალფეროვანია, ხოლო დასახული ამოცანის შესაბამისად იცვლება ნახატის ხასიათი, ისევე, როგორც სპექტაკლების გაფორმებისას. მან შეასრულა ილუსტრაციები უცხოელი მწერლების ნაწარმოებთა ქართული გამოცემებისათვის, როგორიცაა: მარკ ტვენის „ტომ სოიერის თავგადასავალი“ (1934, ტუში), ვიქტორ ჰიუგოს „კაცი, რომელიც იცინის“ (1934, აკვარელი), ლონგფელოს „ჰაიავატა“ (1934, გუაში, ლაქი). ასევე ქართველ მწერალთა ნაწარმოებებისათვის. რომელთა რიცხვს ეკუთვნის ეგნატე ნინოშვილის „მოსე მწერალი“ (ტუში), დავით კასრაძის „ქალპეპელა“ (ტუში), ი. მოსაშვილის „როზგა-ჩაფარი“, სოფრომ მგალობლიშვილის „ჯორზაქარა“ (ფანქარი) და უკვე მოგვიანებით, 1950-იან წლებში ვაჟა-ფშაველას პოემები და მოთხრობები.

მის ილუსტრაციებს შორის, შესაძლებელია, ყველაზე მომხიბვლელად „ტომ სოიერის თავგადასავლის“ ნახატების სერია ჩაითვალოს. ეს გამოცემა, რომელიც ამჟამად ბიბლიოგრაფიულ იშვიათობადაა ქცეული, თავის დროზე ბავშვებსა და, ალბათ, მოზრდილებსაც იზიდავდა, ახარებდა თავისი ცოცხალი, მეტყველი ნახატებით. მხატვრის შესრულებულია ყდა, ფორზაცი, ნახატები ცალკე ფურცლებზე და ტექსტში. მან საილუსტრაციოდ ძალიან ბევრი ეპიზოდი აირჩია, ზოგჯერ ყურადღებას ამახვილებდა მწერლის მიერ გაკვრით მოხსენიებულ ან მხოლოდ ნაგულისხმევ, მაგრამ გრაფიკული ხორცშესხმის დროს მეტყველ დეტალებზე. ნახატები კალმითაა შესრულებული, მსუბუქად და თავისუფლად. ძველი ქალაქის არქიტექტურის, გმირების კოსტიუმებისა და სხვადასხვა საინტერესო დეტალის დაწვრილებითი დამუშავება თვითეული ნახატის გულდასმითი, ხანგრძლივი დათვალიერების სურვილს ბადებს, რაც მშვენივრად შეესაბამება ბავშვის მოთხოვნილებას მრავალგზის დაუბრუნდეს წაკითხულ ამბავს. ტიპაჟის გროტესკული ხასიათი მხატვრის იუმორის გრძნობასა და აღქმის სიმახვილეს მოწმობს, რაც კარგად შეესატყვისება მარკ ტვენის განთქმული ნაწარმოების განწყობილებას.

ნახატები რომანისათვის „კაცი, რომელიც იცინის“ შესრულებულია კალმით და ოდნავ შეფერილია აკვარელით. ფიგურების აქცენტირებისთვის ხან გამოყენებულია აკვარელის ლურჯი ტონი, ხან ფიგურები შავ-თეთრადაა დატოვებული, ლურჯი კი ეფინება ცას და პეიზაჟს; ამით წიგნის ფურცლის თავისებური დეკორაციულობაა მიღწეული. საილუსტრაციოდ არჩეული ეპი-

ზოდების შერჩევა და მათი ინტერპრეტაციაც ვიქტორ ჰიუგოს რომანის რომანტიკული განწყობილების გახსნას ემსახურება. ლონგფელოს „ჰაიავატას“ ფერადი ნახატების შექმნისას, ის მიზნად ისახავდა ნაწარმოების ეპიკური ხასიათისა და ლეგენდის სილამაზის გადმოცემას. სრულიად განსხვავებულია დ. კასრაძის პოემის „ქალპეპელას“ ილუსტრაციები. ამ ტუშითა და კალმით შესრულებულ ნახატებში ძალიან მდიდარი, მრავალფეროვანი საშუალებებია გამოყენებული: პუნქტირული (დაწინწკლული) ხაზები, შტრიხი, სიბრტყ(, მთლიანად შავით დაფერვა; პლანების დაპირისპირებითა და შავ-თეთრი ლაქების მონაცვლეობით დინამიური, გამომხატველი კომპოზიციებია შექმნილი. პერსონაჟების კოსტიუმების შესრულებაში მხატვარი-დეკორატორი იჩენს თავს. ეს ნახატები, ერთი მხრივ, სიუჟეტის ზღაპრულობას ასახავს, მეორე მხრივ კი პერსონაჟების მკაფიო დახასიათებითა და დაპირისპირებით აქცენტირებულია ნაწარმოების სოციალური გამიზნულობა.

ელენე ახვლედიანს ჰქონდა უნარი ეფექტურად გამოეყენებინა მასალა ისე, რომ ეს თვითმიზნად არ ექცია. ამ თვალსაზრისით მეტად დამახასიათებელია ნახატი „მგლების ხროვა თოვლიან ტყეში“ ნაწარმოებისათვის „როზგაჩაფარი“. ნახატი ფანქრითაა შესრულებული მოყავისფრო ქაღალდზე და მის ტონს მხატვრული ზემოქმედებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. თოვლიანი ზედაპირი ძალიან ძუნწად, რამდენიმე მონასმით თეთრათაა დატანილი, ხოლო მგლები თოვლზე და შიშველი ხეები დაწვრილებითაა დახატული და მკვეთრად შემოხაზული კონტურით, რომელიც არა მარტო ფორმების ხასიათს ავლენს, არამედ ანიჭებს ნახატს რაღაც თავისებურ, დეკორაციულ სილამაზეს.

ვაჟა-ფშაველას თხზულებისათვის შესრულებული ნახატები ასევე მეტყველებს ამ პოეტის შემოქმედების სპეციფიკის გათვალისწინებაზე. იმ შემთხვევაში, როცა ნახატის სიუჟეტი მთის ხალხის ყოფა-ცხოვრებას ასახავს, მეღვინეობა მხატვრის მიერ ხალხური ხელოვნების ნიმუშების ღრმა ცოდნა. გარეშოს ზუსტი ასახვა კი მის ნახატებს თავისებურ დამაჯერებლობას ანიჭებს. მთის პეიზაჟები ხშირად ფიგურების ფონადაა გამოყენებული, ზოგ შემთხვევაში კი დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს და თავის განწყობილებით ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებების საგმირო-ლირიკულ ხასიათს უსვამს ხაზს[9].

ელენე ახვლედიანის ილუსტრაციები მხატვრის მდიდარ ფანტაზიაზე მიუთითებს და ისტორიული მასალის საფუძვლიან ცოდნას მოწმობს. მის მიერ შექმნილი მხატვრული სახეები გამომხატველი და დამაჯერებელია, ხოლო საილუსტრაციოდ ამორჩეული ეპიზოდების ამოკრება და ზოგიერთი დეტალის სათანგებოდ ხაზგასმა, თითქმის ყოველთვის, მოცემული ლიტერატურული ნაწარმოებისადმი მხატვრის დამოკიდებულებას ამჟღავნებს. „ელენე ახვლედიანის

---

[9] ნ. ა ღ ა დ ა შ ვ ი ლ ი, ქართველ მხატვართა ილუსტრაციები ვაჟა-ფშაველას თხზულებებისათვის, Ars Georgica 7B, 1974, გვ. 90—91.

ყველა ილუსტრაციაში მხატვრის ჰეშმარიტი მხატვრული კულტურა ჩანს — მასალის, ისტორიული ანტურაჟისა და რეალიების მშვენიერი ცოდნა, კომპოზიციების კარგი აგება, და, რაც მთავარია, ნაწარმოების სულის, ისტორიული გარემოს, „ატმოსფეროს“ გადმოცემის უნარი[10]...

მოღვაწეობის მრავალმხრივობასთან ერთად, ელენე ახვლედიანის შემოქმედებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადგილი პეიზაჟურ მხატვრობას უკავია.

პეიზაჟური ფერწერა საქართველოში XIX—XX სს. მიჯნაზე ჩაისახა, ხოლო სახვითი ხელოვნების ცალკე, დამოუკიდებელ დარგად უკვე საბჭოთა ხანაში ჩამოყალიბდა და განვითარდა. პეიზაჟისადმი ინტერესს იჩენდნენ ახალი ქართული რეალისტური ფერწერის ფუძემდებლები — რომანოზ გველესიანი, ალექსანდრე მრეველიშვილი, გიგო გაბაშვილი, ანტონ გოგიაშვილი, მოსე თოიძე. ამ მხატვრების შემოქმედებამ პეიზაჟის ჟანრის განვითარებასაც ჩაუყარა საფუძველი. უკვე იმთავითვე, ლანდშაფტური პეიზაჟის გვერდით ეითარდება ქალაქის პეიზაჟიც, რომელსაც რომანოზ გველესიანის ნახატებში, უფრო მოგვიანებით კი მოსე თოიძის ფერწერაში ვხედავთ. პირველი ქართველი მხატვარი, რომელმაც მთელი თავისი შემოქმედება ამ ჟანრს მიუძღვნა, ალექსანდრე ციმაკურიძე[11] იყო. პეიზაჟს წამყვანი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე დავით კაკაბაძისა[12] და ელენე ახვლედიანის შემოქმედებაში. ეს მხატვრები განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან თავისი ტემპერამენტითა და მხატვრული მიდგომით, მაგრამ მათი ნამუშევრები ეროვნული ხასიათის დანახვის საშუალებას გვაძლევს. ალექსანდრე ციმაკურიძე სიღრმივ-სივრცობრივად აგებდა თავის პეიზაჟებს, მაშინ როცა დავით კაკაბაძესა და ელენე ახვლედიანს უფრო დეკორაციული მიდგომა ახასიათებდათ, მაგრამ თითოეული მათგანი მიზნად ისახავდა თავისი გამოსახვის საშუალებებით გადმოეცა მშობლიური ქვეყნის ბუნების ის თავისებურება, რომელსაც ხედავდა და უყვარდა.

ქართული პეიზაჟის ეროვნული თავისებურების გახსნას მიუძღვნა ელენე ახვლედიანმა დიდი ფერწერული ტილოები და სულ პატარა მინიატურული ნამუშევრები. მთელი სერიები პეიზაჟებისა საქართველოს სხვადასხვა კუთხეს გვიხატავს, დღისა და წელიწადის სხვადასხვა დროის ამსახველია. „ელენე ახვლედიანს — მოწოდებით პეიზაჟისტს, მახვილად ესმის ბუნების სუნთქვა, მისი ხმები და როგორიც არ უნდა იყვნენ ეს ჰანგები — ზამთრის სუსხიან სუდარაში გახვეულნი, თუ გაზაფხულის ნაზ ფერებში შენისლული, შემოდგომის მსუ-

---

[10] В. Беридзе, Н. Езерская, Искусство советской Грузии (1921—1970), М 1975, с. 97.

[11] Т. Вирсаладзе, Александр Цимакуридзе, М., 1959.

[12] Г. Алибегашвили, Давид Какабадзе, Тб., 1958; Давид Какабадзе, Альбом. Вступительная статья Л. Рчеулишвили. Тб., 1966.

ყედ ნაქარგ ხალიჩით შეფერილნი, თუ ზაფხულის მცხუნვარე მზის ჩრდილში გარინდული, მხატვარი პოულობს მათ. პოულობს, ვინაიდან ტილოზე ფერებში მათ გაღეძებისას მხატვარი თავის შემოქმედებით პიროვნებასაც გამოსახავს"[13]. ბუნების სიყვარულით იყო შეპირობებული ელენე ახვლედიანის ცხოვრებისა და შემოქმედების მთელი წყობა. ქართული პეიზაჟის ხატვით დაიწყო მისი შემოქმედებითი გზა, მთელს მის ცხოვრებას გასდევს ბუნების ურიცხვი სურათები, რომელთა მეხედვითაც შეიძლება თვალი გავადევნოთ მის ბიოგრაფიას, მის მოგზაურობებს, მის განცდებსა და გრძნობებს. „პეიზაჟური მხატვრობა მის ინდივიდუალობას განსაზღვრავს თავისი საკუთარი კუთხით დანახული ნატურის გადმოცემის მეშვეობით გამომუშავდა მისი ფერწერული ენა"[14].

მისი პეიზაჟები ბუნების ჰვრეტის ასპექტების მრავალგვარობით გვაოცებს. მისი მხატვრული სახეების ძირითადი წყარო საქართველოს ბუნების უსაზღვრო მრავალფეროვნებაა: მთის ხეობების მკაცრი სილამაზე, ცად აზიდული მთები, რომელთა კალთებზე სოფლებია გაბნეული, შორეული, ლურჯი მთებიც ქედებით შემოფარგლული აყვავებული ველები, ძველი, ცხოველსატული ქალაქები, ძველისძველი ციხე-სიმაგრეები და ხუროთმოძღვრების სხვა ქართული ძეგლები, რომლებიც ჩვენს ბუნებას ჰარმონიულად ერწყმიან, და ბოლოს ახლის მშენებლობა, ახალი ქალაქები.

მხატვარს აღელვებდა არა მხოლოდ მშობლიური ბუნება, უცხოეთში ყოფნისას ის ფაქიზად გრძნობდა, შეიცნობდა უცხო ქალაქებისა და ლანდშაფტების თავისებურებას, მათს სილამაზეს, იმსჭვალებოდა მათი განწყობილებით. მისი სიყვარული ბუნებისადმი ყოვლისმომცველი, უსაზღვროა და მაყურებელი მის ნამუშევრებში არა მარტო ბუნების სურათებს, არამედ მხატვრის დამოკიდებულებასაც ხედავს, მკაფიოდ გრძნობს მხატვრის ტემპერამენტს, მის ხასიათს— მოუსვენარსა და დაუდეგარს, ზოგჯერ კი უეცრად ლირიკულად ნაზს, „...ბუნება მის სურათებში ყოველდღიურობისაგან „განწმენდილი" კი არაა მოცემული, ამაღლებული და ურყევი, არამედ მუდმივ ცვალებადი, ზოგჯერ ერთსა და იმავე სურათის ფარგლებშიც, თითქოს ადამიანსავით შეშფოთებული, ხან პირქუში ღრუბლებით, ხან მზის სხივებით გაბრწყინებული, ხან კი „ჩაფიქრებული"[15].

ელენე ახვლედიანის პეიზაჟური მხატვრობის შესწავლა საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ მისი ნამუშევრების სამი ძირითადი ქრონოლოგიური ჯგუფი,

---

[13] ლ. რჩეულიშვილი, წერილი კატალოგისთვის. გამოფენა „თბილისი", თბ., 1965, გვ. 14.

[14] Р. Шмерлинг, Пейзаж Родины, журн. «Творчество», 1961, № 6, с. 13—14.

[15] В. Беридзе, Н. Езерская, Искусство Советской Грузии (1921—1970). М., с. 95.

რომელიც მხატვრული მიდგომის ევოლუციას ცხადყოფს: I—20—30-იან წლებში შექმნილი ნამუშევრები, ე. ი. პარიზის პერიოდი და რამდენიმე წელი სამშობლოში დაბრუნების შემდეგ; II—40—50-იანი წლები (დაახლოებით 1958—59 წლებამდე); III—50-იანი წლებიდან — 1975 წლამდე ე. ი. არსებითად იგივე პერიოდიზაცია გამოდგება, რომელიც ქართული საბვითი ხელოვნების განვითარებისთვისაა მიღებული. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ელ. ახვლედიანის შემოქმედების სხვადასხვა ეტაპი მკვეთრი საზღვრებით არ გამოიყოფა, ვინაიდან მისი განვითარება ძალიან ორგანულად მიმდინარეობდა. როგორც აღვნიშნეთ, ელენე ახვლედიანი ადრე დაოსტატდა და ჩამოყალიბდა როგორც რეალისტი, ის არ იზღუდებოდა პეიზაჟის გარკვეული მოტივით ან მიდგომით, ხშირად უბრუნდებოდა ძველ თემებს და კომპოზიციებსაც კი. მაგრამ ახლებურად გაიაზრებდა მათ.

20—30-იან წლებში შესრულებული ნამუშევრების უმრავლესობა პეიზაჟებია. ერთ-ერთი ყველაზე ადრეულია მათ შორის „ძველი თბილისი“ დაწერილი 1917 წელს, როცა მხატვარმა პირველად იხმარა ნაჩუქარი ზეთის საღებავები. მიუხედავად გამოუცდელი მხატვრის ერთგვარი მოკრძალებისა ფერის გაწყენებაში—მან მხოლოდ ნაცრისფერი, მოყავისფრო ტონები და თეთრა აიღო, უკვე ამ ადრეულ ნაწარმოებში გამოვლინდა მისი გამბედაობა ამოცანის დასმაში. მხატვარმა მიზნად დაისახა დიდი სივრცის ჩვენება, რისთვისაც მაღალი ხედვის წერტილი აირჩია. სურათის ჩარჩო ჭრის დიდი, დაკოჭრილი ხის ქვემო ნაწილს, ფოთლებშემოძარცული ტოტების იქით მოჩანს სახურავები და მათ შორის გამოიყოფა ორი ვერტიკალი — ეკლესიისა და სამრეკლოს გუმბათები, რომლებიც კომპოზიციის მაორგანიზებელი ელემენტები არიან. ამ, პირველ პლანზე განლაგებულ. ნაგებობებს უპირისპირდება შორეული პლანი — პატარა სახლებით მოფენილი მთის ფერდობი. აქ მხატვარი მიმართავს ხერხს, რომელსაც მომავალში ძალიან ხშირად გამოიყენებს: პირველი პლანის საგნები ჩამუქებულია, ხოლო მათ უკან სივრცე ღია ფერითაა დაწერილი. მოყავისფრო-ნაცრისფრით შესრულებული პირველი პლანის ხე და არქიტექტურა მკვეთრად იკვეთება თოვლით დაფარული მთის კალთების ფონზე. ნიშანდობლივია, რომ მისი პირველი, ზეთით შესრულებული. სურათის მოტივი სწორედ ძველი თბილისია და ზამთარი, ე. ი. ის თემები, რომელთაც ესოდენ ხშირად ეხვდებით მის შემდგომ ნამუშევრებშიც.

თბილისის სამხატვრო აკადემიაში სწავლისას, ელ. ახვლედიანი თავის მეგობრებთან ერთად ძველი თბილისის ჭუჩებში აკეთებდა სწრაფ ჩანახატებს. ასევე დიდი გატაცებით ასრულებდა არქიტექტურულ პეიზაჟებს პარიზშიც. მას არ იზიდავდა ამ ქალაქის ცენტრალური, კლასიკური კვარტალები, რომელთა ცხოვრების რიტმი ესოდენ მეტყველად ასახეს ჯერ იმპრესიონისტებმა, ხოლო შემდეგ კი—ალბერ მარკემ მისთვის ჩვეული ლირიზმით. ელენე ახვლედიანს უფრო მორის უტრილოს პარიზი უყვარდა. ის წერდა დიდი ქალაქის გა-

რეუბნებს, მუშათა უბნებს, ვიწრო, მაღალ სახლებს შორის მოქცეულ ქუჩებს, ვიწრო ფასადებს მანსარდებით, დახეთქილი კედლებით, კრამიტით გადახურული სახურავებით. მოახდინა თუ არა ელ. ახვლედიანზე გავლენა უშუალოდ უტრილოს ფერწერამ? საფიქრებელია, რომ აქ ერთმანეთს დაემთხვა ორი მხატვრის ერთი მოტივისადმი სიყვარული. ელენე ახვლედიანი ძველი თელავისა და ძველი თბილისის ქუჩებმა მოამზადეს უტრილოს პარიზის აღქმისათვის. აქ სრულ განვითარებას პოულობს ჯერ კიდევ ადრე, სამშობლოში გამოვლენილი უნარი ძველი ქალაქის პოეტური წარმოსახვისა.

ამ პერიოდის ნამუშევრები ხედვის წერტილის ამორჩევისა და კომპოზიციური აგების მრავალფეროვნებით გამოირჩევა. სურათში „მუშათა უბანი პარიზში“ (1926 წ.) მთელ სიბრტყეს მაღალი სახლების მუქი, პირქუში ფასადები ავსებს. ეს ფასადები ერთიმეორის უკანაა განლაგებული იმგვარად, რომ ცის მხოლოდ პატარა, მოლურჯო-ნაცრისფერი ნაკუწი რჩება სურათის ზემო ნაწილში. პარიზის კუთხის ამსახველ მეორე სურათში სახლის ფასადები ისევ ავსებს თითქმის მთელი სურათის სიბრტყეს, მაგრამ გვაქვს სრულიად სხვა კომპოზიციური გადაწყვეტა. აქ ამორჩეულია ხედვის მაღალი წერტილი — ხედი ქუჩის მეორე მხრიდან, როგორც ჩანს, ფანჯრიდან, მაგრამ ისე, რომ ფანჯრის რაფა არ ხვდება კადრში, ე. ი. ისე, როგორც უმეტესად წერდნენ ხედებს ფანჯრიდან იმპრესიონისტები[16]. ვიწრო ქუჩის მეორე მხრიდან, საკმაოდ ახლო მანძილიდან დანახული მანსარდებიანი სახლები გამოსახულია ისე, რომ არ ჩანს თვით ქუჩა და სახლების ქვემო ნაწილი. დამახასიათებელია, რომ სურათის შემზღუდავი პირველი პლანის ფასადები ჩამუქებულია, ხოლო სიღრმეში მოთავსებულ შენობას და ხეს ნაზი ოქროსფერი შუქი ეცემა. ამით მხატვარი სიღრმის შთაბეჭდილებას ქმნის და ამავე დროს სიღრმიდან კეტავს სივრცეს. პირველი პლანის სახლების აივნების ბალუსტრადა, სახურავების კრამიტები და მონაცისფრო-მოყავისფრო ლაქებით დაფარული კედლები დაწერილია დაწვრილებით, გულდასმით. სურათი გამსჭვალულია იმ ინტიმურობის გრძნობით, რომელსაც იწვევს მჭიდროდ დასახლებული დიდი ქალაქის ძველი სახლების ასე პირისპირ ყურება, ხოლო უეცრად, ამ დროით დაღარულ ფასადებს შორის ოქროსფერი ფოთლებით ნაზად შემოსილი, მზისკენ ტოტებაზიდული ხის გამოჩენას მოულოდნელობისა და სიცოცხლის განცდა შეაქვს სურათში. ასეთივე ახლო ხედვის წერტილებია შერჩეული სურათებისთვის — „პარიზის კუთხე აფიშებიანი ბოძით“ და „პარიზის კუთხისათვის“. ამათგან პირველზე ადამიანების ფიგურებია გაცოცხლებული, მეორეზე კი მხოლოდ სახლების ფასადების რიგია ისევ ახლო მანძილიდან, ვიწრო ქუჩის მეორე მხრიდან დაწერილი. მათი დიაგონალური სიბრტყე მთლიანად ავსებს სურათის ზედაპირს, ჩანს

---

[16] Н. Калитина, Французская пейзажная живопись 1870—1970 гг. М., 1972, с. 130—131.

მხოლოდ პატარა მონაკვეთები ქვაფენილისა და ცისა. მიუხედავად იმისა, რომ ქუჩა უკარკიელია, მაინც ადამიანის კვალი ამჩნევია ყველაფერს—თვით სახლებს მინაშენებითა და აბრებით, მაღაზიებს ქუჩაში გამოფენილი საქონლით. ამ სურათშიც შენობის ფასადის სიბრტყე მთელი სურათის ზედაპირს კეტავს.

ქალაქის დიდი სივრცე იშლება მაყურებლის წინ სურათში „პარიზის მუშათა უბანი“ (1926 წ.), რომელიც მაღალი წერტილიდანაა დაწერილი. სახლები აქაც ავსებს სურათის სიბრტყეს, თითქმის, ჩარჩომდე, მაგრამ ზემოთ განხილული სურათებისაგან განსხვავებით, აქ სივრცე არაა შეზღუდული, მხატვარი მას ავითარებს სიღრმეშიც, სადაც შენობები თანდათან ქალაქის ნისლით იბინდება. აქაც ხაზგასმულია ცხოველხატულობა უსწორმასწოროდ განლაგებული შენობებისა, რომელთა კრამიტით გადახურული სახურავები წინა პლანს ავსებს. ფუნჯით „დახატულ“ კრამიტებს სურათში შეაქვს თავისებური დეკორაციულობის ელემენტი, რომელიც გამომსახველობასთან არის გაერთიანებული. ამ კომპოზიციას თავისებურ ხასიათს, სიცოცხლეს ანიჭებს არქიტექტურის სიბრტყეების, მოცულობებისა და ქუჩის გასწვრივ ჩამწკრივებული ხეების შიშველი ტოტების ჟურული ნახატის დაპირისპირება. ამ კომპოზიციის მაორგანიზებელი არის ფერი. სურათი მოცისფრო-მონაცრისფრო ტონალობის ფერითაა დაწერილი. ხოლო წითელი ტონით აქცენტირებულია აგურის ფასადების სიბრტყეები, ქარხნის მილები, პირველი პლანის სახურავები.

ამავე პერიოდს ეკუთვნის მხატვრის მიერ შესრულებული ქართული პეიზაჟები, რომლებიც ბუნების სხვადასხვა მდგომარეობასა და წელიწადის სხვადასხვა დროს გვიხატავენ. ერთ-ერთი ყველაზე მშვენიერი მათ შორის არის პარიზში დაწერილი „კახეთი-ზამთარი“ (1924 წ.). ეს სურათი ძალიან მართებულად გადმოგვცემს ზამთრის დღის განწყობილებას, ზამთრის დღის სიმშვიდეს, გარინდებას, გამქვირვალე კრიალა ჰაერს, როცა განსაკუთრებით მკვეთრად ჩანს საგანთა სილუეტები. მიუხედავად ბრეიგელის „ზამთრის“ ასოციაციისა[17], რომელსაც ეს სურათი უდავოდ იწვევს, იგი, მაინც, მხატვრის ინდივიდუალობაზე მიუთითებს და ქართული პეიზაჟის იმ უაღრესად განვითარებული ეროვნული ხასიათის გრძნობას ავლენს, რომელიც ელენე ახვლედიანის საუკეთესო ნამუშევრებს გამოარჩევს. ეროვნული ხასიათი აქვს მთელს ანტურაჟს, დიდი სიყვარულით შესრულებულსა და მახვილად დანახულ დეტალებს (ურემი პირველ პლანზე, თონე, რიყულებიანი აივანი და სხვ.), ასევე ყოველდღიური შრომით გართული ქალების ფიგურების მოძრაობას. საინტერესოა, რომ სურათი სივრცეშია განვითარებული — ურმის გადაჭრილ ნაწილს თვალი მიჰყავს სიღრმისაკენ, ამ შთაბეჭდილებას აძლიერებს სახლების პერსპექტივში შემცირება. ამასთან, საგნების ბრტყელ სილუეტებად დანახვა თვით მოტივითაა შეპირობებული. სწორედ ეს დაპირისპირება — სიბრტყობრივი საგნებისა და მათი სივრ-

[17] Р. Ш м е р л и н г. Пейзаж Родины. журн. «Творчество». 1961. № 6. с. 14.

ცეში განაწილებისა — გამოყენებულია თავისებური გამომხატველობის მისაღწევად.

ფორმების განზოგადებით, რასაც, ნაწილობრივ, დიდი სიბრტყეების თოვლით დაფარვა აპირობებს და დაუნაწევრებელ, სპილოსძვლისფერ თეთრ ზედაპირზე მოყავისფრო ტონალობით დაწერილი ფიგურებისა და საგნების თავშეკავებული ფერადოვანი გადაწყვეტით, მხატვარი ამ სურათში საოცარ სტილისტურ ერთიანობასა და მხატვრული სახის გამომხატველობას აღწევს.

ზაფხულის მშვიდი დღის განწყობილებას გადმოგვცემს სურათი „თელავი“ (1927 წ.). ძველი სახლების წითელკრამიტიანი სახურავები მწვანეშია ჩაფლული და ერთიმეორის ზემოთ ბორცვზე ისეა განლაგებული, რომ თითქმის აღარ ჩანს ცა. სახურავების, აჟურული აივნებისა და ხეთა ვარჯების მონაცვლეობით იქმნება რიტმი, რომელიც მაყურებლის თვალს სურათის სიბრტყეზე ქვევიდან ზემოთ წარმართავს. ამ მიმართულებას ხაზს უსვამს ზემოთ მიმავალი დაკლაკნილი ქუჩა. წითელი და მწვანე კონტრასტში არ არის მოცემული, არამედ მოყავისფრო-ოქროსფერი ტონით ჰარმონიულადაა გაერთიანებული. სურათის გამომხატველობასა და, ამასთან, სტილისტურ ერთიანობას ანიჭებს დეტალების თავისებური დამუშავება — „ფუნჯით ნახატი“ — პატარა მონაშები, რომლებიც ფორმის ხასიათსაც გადმოგვცემს და მხატვრის დამოკიდებულებასაც. ელენე ახვლედიანი თითქოს მოგვითხრობს თავისი საყვარელი ქალაქის ძველი სახლებისა და მზით განათებული წყნარი ჭუჩების ამბავს.

სულ სხვაგვარადაა აგებული რომანტიკული განწყობილებით გამსჭვალული პეიზაჟი „გრემი“ (1924 წ.). შუა საუკუნეების ეს ანსამბლი, უკვე ნატურაშიც საოცრად ცხოველხატული და რომანტიკული, ბუნების ელენე ახვლედიანისეულ გაგებას შეესაბამება, ამიტომაც მხატვარი არაერთგზის უბრუნდება მას. ამ ადრეულ ნამუშევარში გრემი და მის ირგელივ ბუნება წარმოგვიდგება რაღაც ზღაპრულ სამყაროდ. მუქ მწვანე ბორცვებზე ერთიმეორის ზემოთაა განლაგებული შენობები, რითაც შექმნილია ერთგვარი დეკორაციული სიბრტყე, მაგრამ კლაკნილ გზას მაყურებლის თვალი სიღრმეში მიჰყავს, სადაც მოცისფრო-თეთრთოვლიანი ქედის მწვერვალები კეტავენ სივრცეს. აქ კვლავ ვხვდებით მუქი ტონალობით დაწერილი წინა პლანისა და ღია ფერებით შესრულებული სიღრმის ღაპირისპირებას, რაც სივრცის შთაბეჭდილებას ქმნის. მაგრამ პეიზაჟის აგება, არქიტექტურის განლაგება ისე, რომ შენობები არ ფარავს ერთიმეორეს, არამედ ერთიმეორის ზემოთ თავსდება, უკვე გარკვეულ დეკორაციულობას ქმნის. ასეთი განლაგება რამდენადმე ნატურითაა ნაკარნახევი, მაგრამ ნატურაში არის სხვა ხედვის წერტილებიც. ეს დეკორაციულობა გაძლიერებულია ფორმების დამუშავებით — თითქმის ერთნაირით წინა და უკანა პლანებისათვის, მაგრამ ისე, რომ შენარჩუნებულია შორეული პლანის საგანთა ფერწერის გამჭვირვალობა და სიმსუბუქე. ეს წინააღმდეგობით სავსე დაპირისპირება ზოგჯერ მის პეიზაჟებს ანიჭებს განსაკუთრებულ ექსპრესიულობას, დაძაბულობას. სივრცობ-

რიობისა და დეკორაციულობის ეს თანაარსებობა დამახასიათებელია ელენე ახვლედიანის ადრეული ნამუშევრებისათვის და მეტ-ნაკლებად — გვიანდელებისთვისაც. იგი მკაფიოდ ჩანს პეიზაჟში „ძველი სამრეკლო“ (1926 წ.). აქ მკვეთრადაა გამოყოფილი პირველი პლანი — მუქი მწვანე ბალახით დაფარული მიწის ვიწრო ზოლი და მუქი მოყავისფრო ძველი ხის სამრეკლო. მას უპირისპირდება შორეული პლანი — სივრცე, რომელიც ისევ მწვანე და მოყავისფრო ფერების ღია ტონებით არის დაწერილი. სამრეკლო მაღალ მთაზე დგას და აქედან თვალუწვდენელი სივრცე იშლება ხეობებით, ველებითა და შორეული მთებით. აღსანიშნავია არათანაბარი განათების გამოყენება ამ სივრცის მასშტაბების ხაზგასასმელად. ღრუბლებს იქიდან გამონათებული მზის სხივები ეფინება სივრცის ცენტრალურ ნაწილს. ამავე დროს, სწორედ ამ განათებულ ფონზე, როგორც კონტრაჟურში, ბრტყელად, მკვეთრად იკვეთება სილუეტი დაკოჭრილი ძელებისა და სამრეკლოს ფანჩატურისა. შორეული პლანის რელიეფი რთულია: ხეობები, ველები ხნულებითა და ხეებით. ფორმები შემოფარგლულია მონასმებით, რომლებიც მოძრაობას ქმნიან და არათანაბარ განათებასთან ერთად დინამიკურობასა და დაძაბვას აძლიერებენ. ასეთივე ფართო სივრცე გვაქვს პეიზაჟში „ალაზნის ველი“, რომლის პირველი პლანი — ბორცვი შენობებით — გაცილებით მუქ ტონალობაშია დაწერილი, ვიდრე შორეული პლანი.

ამ წლებში მხატვარი ზოგჯერ ყოფით ჟანრსაც მიმართავდა. ასეთია, სურათები: „დასვენება გზაზე“ (1925 წ.), „ქეიფი გზაზე“ (1934 წ.). მაგრამ აქაც, საერთო შთაბეჭდილებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს პეიზაჟს, რომელშიც ჩაწერილია ფიგურები. კომპოზიციის აგება ამ შემთხვევაშიც ემყარება პირველი პლანის (რომელიც ფიგურებს უკავია) და პეიზაჟის შორეული პლანის დაპირისპირებას. სურათში „დასვენება გზაზე“ მუქი ტონებით არის დაწერილი პირველი პლანი — გზის პირას ხის ქვეშ ჩამომსხდარი მგზავრები, მოლურჯო-მომწვანო ბალახი, ხის მუქი-მოყავისფრო ტანი, ხოლო პეიზაჟი ფიგურებს უკან — მინდორი, რომელზეც მოჩანს კამეჩები და ჩარდახიანი ურემი (ისეთივე, როგორც მის ადრინდელ ჩანახატებში) შესრულებულია ღია ტონალურ გამაში: მოყვითალო, ღია მწვანე, ხოლო შორეული მთები — ოქროსფერი და მონაცრისფრო ტონებით.

ყოფით სურათებში ძალიან მეტყველია ტიპაჟი, დამახასიათებლად არის გადმოცემული ფიგურების მოძრაობა და განსაკუთრებული სიყვარულით არის შესრულებული ცალკეული დეტალები, მაგალითად, გლეხების ტანსაცმელი, ურემი, ლურჯ სუფრაზე გაშლილი ნატურმორტი. ისინი მეტყველებენ მხატვრის უნარზე — გადმოსცეს ეროვნული ხასიათი ისე, რომ ზედმეტ ეთნოგრაფიზმსა და თხრობითობას დააღწიოს თავი.

ამ პერიოდის ნამუშევრებს შორის განსაკუთრებული მომხიბლველობით გამოირჩევა ძველი თბილისის არქიტექტურული პეიზაჟები. სურათი „ძველი თბილისი. წისქვილები“ (1927 წ) გვიხატავს იმ ადგილს, სადაც წინათ ყოფილა წისქვილები, რომლებიც დღეს აღარ არსებობენ. სურათი მონაცრისფრო-მოვარდისფრო-წითელ ტონებშია შესრულებული, ცალკეული მუქი მოლურჯო-მწვანე აქცენტით. სახლები, რომელთა საძირკვლებს მტკვარი ფარავს მდინარის გაღმა ნაპირიდანაა დაწერილი. მათი თაღიანი აივნები და წითელი სახურავები რიტმულ მონაცვლეობას ქმნიან. რიტმულადაა განლაგებული ფერის მუქი ლაქებიც. ზემო ნაწილში მოცულობები მსუბუქი, ჰაეროვანია, ხოლო მთის ქედს ზემოთ ცა სივრცობრივადაა დაწერილი.

სრულიად ფრონტალურადაა აგებული კომპოზიცია პეიზაჟისა „გოგოლის აბანო“ (1927 წ.). ეს სედიც მდინარის გაღმა მხრიდანაა დაწერილი. მონაცისფრო-ჟანგისფერ კლდეზე შენობის მკვეთრი თეთრი ლაქა გამოირჩევა. აგების სიბრტყითი ხასიათი ხაზგასმულია სურათის ჩარჩოს პარალელურად განლაგებული წყლის ზედაპირის ზოლით, შენობის ფასადის ხაზებით, თვით კლდისა და მთის ქედის მოხაზულობით. ამავე დროს, სურათის დეტალების დამუშავების წყალობით თავიდან აცილებულია მონოტონურობა. სურათს აცოცხლებს მომწვანო ბუჩქების სიცხოველე ჟანგისფერ კლდეზე და თითქმის გრაფიკულად გამოკვეთილი მავთულებიანი ბოძები.

სურათში „მაიდანი“ (1927 წ.) ძველი ქალაქის ცხოველხატულობაა ხაზგასმული. კომპოზიცია დინამიკურადაა აგებული. პირველი პლანიდან, რომელიც აივნიანი სახლებითაა შემოსაზღვრული, მოკირწყლული ქუჩა სიღრმეში მიდის და ორ დიაგონალურ ზოლად იყოფა, მაგრამ სიღრმეში იგი წითელი სახლითა და მის ზემოთ მდებარე მთების ქედით იკეტება. აქაც იქმნება დაპირისპირება, ვინაიდან მოძრაობა, დინება ქუჩისა, რომელიც ხაზგასმულია ტრამვაის ლიანდაგის ხაზებითაც, მკვეთრადაა გადაჭრილი. სიცოცხლე და მასშტაბურობა კომპოზიციაში შეაქვთ ქუჩის გამველელ-გამომველელთა ფიგურებსა და მეეტლებს. სურათის მონაცისფრო ტონალური გამა გაცოცხლებულია მოწითალო ტონებით, დეტალების — ქუჩის ქვაფენილი, სახლის კედლები, ხეები და სხვ. სიყვარულით დამუშავება აძლიერებს სურათის ცხოველხატულობას.

პეიზაჟისათვის „ღვინის აღმართი“ (1930 წ.) ცოტა უფრო მაღალი ხედვის წერტილია არჩეული, აგების პრინციპი კი იგივეა. პეიზაჟი თბილი ოქროსფერ-მოწითალო ტონებისა და ცივი მომწვანო-მოყავისფრო ტონების შეხამებით არის დაწერილი. ხაზგასმულია ქალაქის მთიანი რელიეფი, ქუჩები ზევით მიიკლაკნება, სახლებიც მიჰყვება ფერდობს და ცას ფარავს. ელენე ახვლედიანის ქალაქის არქიტექტურა ცოცხალი ორგანიზმია თავისი სახისა და ისტორიის მქონე. მის სურათებში სახლები თითქოს თავის ისტორიას მოგვითხრობენ. ამ თხრობაში მხატვარი საკუთარ, სუბიექტურ დამოკიდებულებას აქსოვს: ბუნებისა და ადამიანის მიერ შექმნილის ჰარმონიულობით აღტაცებასა და, ხშირად,

სევდასაც, რომელსაც წარმავალი სილამაზე აღძრავს. მის მიერ გამოსახული ჭუჩები არე თუ იშვიათად უკაცრიელია, მაგრამ ყველგან ადამიანის ნაკვალევი იგრძნობა; როცა არქიტექტურულ პეიზაჟში ადამიანთა ფიგურები ან პატარა ყოფითი სცენებია გადმოცემული, ისინი თავისი ხასიათით ორგანულად ერწყმიან გარემოს და სიცოცხლეს მატებენ პეიზაჟს.

ელენე ახვლედიანის ნამუშევრების დეკორაციულობა გაძლიერებული ცხოველხატულობითა და პეიზაჟების არქიტექტონიკით იქმნება, ისეთი აგებით ქვემოდან ზემოთ, როცა მთელი სურათის სიბრტყე საგნების გამოსახულებით იფარება და ცის მხოლოდ პატარა ნაწილი ჩანს. ფერის გაგება კი სურათის ემოციურ დატვირთვას ემსახურება. ამ პერიოდის სურათებს გარკვეული ფერადოვანი გამა ახასიათებს — თბილი მოწითალო, თაფლისფერი. მოყავისფრო ტონების შეხამება მუქ მწვანესა და მტრედისფერ-ცისფერებთან. განსაკუთრებით აღსანიშნავია ერთი და იგივე ფერის სხვადასხვა სიძლიერის ტონების გამოყენება პირველი პლანისა და შორეული სივრცის დაპირისპირებისათვის. სურათების ზედაპირი გლუვია, მრავალფეროვანი, ლესირებით დაწერილი. ფერი სქლად არაა დადებული, მაგრამ მისი ზედაპირი მკვრივია. ფორმა ხშირად დამატებითაა დამუშავებული ფუნჯის პატარა მონასმებით. ასე წერს იგი კრამიტებს, ქვაფენილს, ფოთლებს და ყოველთვის თავისებურ ეფექტს აღწევს. გადმოსცემს ფოთლების მოძრაობას, სიმსუბუქეს, ქვ-ფენილის რელიეფის ხასიათს, კრამიტებიანი სახურავის უცნაურ მოხაზულობას, ე. ი. ფორმის ხასიათს უსვამს ხაზს, მაგრამ ამ დამუშავებას დეკორაციული და სურათის ზედაპირის გამაერთიანებლის ფუნქციაც აკისრია.

40—50-იან წლებში ძალიან ფართოვდება ელენე ახვლედიანის პეიზაჟების თემატიკა. ომის თემა იჭრება მის სურათებშიც. მაგალითად, „მტერმა გაიარა“ (1942 წ.). განსაკუთრებით კი გამომხატველია მისი ნახატები: „ომის გზები“ (1943 წ.), „მოსკოვი ომის დროს“ (1944 წ.), „მოსკოვი ომის პერიოდში“. (1944 წ.), „მოსკოვი, ეზო“ (1944 წ.), და სხვა მრავალი. ეს ნახატები გვაგრძნობინებენ მხატვრის განწყობილებას, მის გულისტკივილსა და რისხვას. რაც გამოწვეულია მისი სიცოცხლის არსის, მისი შემოქმედების წყაროს — ბუნების, ადამიანების, ქალაქების განადგურებით. როცა ელენე ახვლედიანი საბედისწერო დანგრეულ თოვლიან გზებს, დაბომბვის შედეგად დაქცეულ სახლებსა და ჭუჩებს, ის გამოსახავდა თავის დამოკიდებულებას ომისადმი, პროტესტს უცხადებდა ძალმომრეობას, რომელიც არღვევდა ჰარმონიას.

კანონზომიერია, რომ სამამულო ომის შემდეგ მის შემოქმედებაში განსაკუთრებული ძალით აჟღერდა მშენებლობისა და ადამიანის შემოქმედებითი შრომის თემა. ინდუსტრიულ პეიზაჟს ის ომამდეც მიმართავდა. ასეთია მაგალითად, 1933 წელს შესრულებული სურათი „ჩელუსკინელთა ხიდის მშენებლობა“. მაგრამ სულ სხვაა სამამულო ომის შემდგომი პერიოდი. მშენებლობის

გრანდიოზული გაქანება აისახა მისი მხატვრული ტილოების მთელ სერიაში — სამგორი, ვანათმშენი, თეზიოკამშენი, ორთაჭალჰესის მშენებლობა, ბულაჩაურის კოლექტორი, რომელიც საქართველოს ახალ მშენებლობას მიეძღვნა.

ელენე ახვლედიანის ინდუსტრიული პეიზაჟებისათვის დამახასიათებელია მშენებლობის თემის ფართოდ გაშლილ ლანდშაფტურ პეიზაჟთან შეთავსება, ასე, მაგალითად, სურათში „ვანათმშენის კაშხალი“ (1952 წ.), პირველ პლანზე მოთავსებული კაშხალის უკან მოჩანს ბორცვი, რომელზეც მინდვრებს შორის გაშენებულია პატარა სოფელი. სურათში „ორთაჭალჰესის მშენებლობა“ (1952 წ.) შორეული პლანის ლურჯად დაბინდული მთების კალთებზე მოჩანს სახლები, ხოლო პირველ პლანზე, ბეტონის კაშხალის გვერდით, გამოსახულია უზარმაზარი ტოტებგაშლილი ხე. ლანდშაფტის ცხოველხატულობა, შორეული პლანის მსუბუქი ნისლი და ხის დახლართული ტოტების სიცოცხლე თითქოს კიდევ უფრო უსვამს ხაზს ბეტონის ნაგებობათა მონუმენტურობასა და ძალას. გამომხატველობას აღწევს მხატვარი კომპოზიციის აგებითაც. იგი ტილოზე „სამგორი“ (1952 წ.) უზარმაზარ მილებს ძლიერ რაკურსში. სიღრმისაკენ მიმართულს გამოსახავს. ამ პეიზაჟებში ინდუსტრიის მოტივთან ერთად, შთაბეჭდილების შექმნისათვის გარკვეული როლი ენიჭება მშვენიერ, მსუბუქად დაწერილ, ჰაერით გაჟღენთილ შორეული პლანის ლანდშაფტებს.

ელენე ახვლედიანი ბევრს მოგზაურობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და წერდა სურათებს, რომლებიც საქართველოს ბუნების ცვალებადობასა და კონტრასტებს ასახავდა. იგი ასახავდა მთის მკაცრი პეიზაჟის, თოვლიანი ქედების სილამაზეს, რომელშიც რომანტიკული განწყობილება იზიდავდა, უმღეროდა აყვავებული ველების მომხიბვლელობასა და საქართველოს ბუნებასთან შერწყმული სოფლების, ძველი ციხე-სიმაგრეების სილამაზეს. ელ. ახვლედიანი ამ პეიზაჟებში ბუნების სიდიადის, მონუმენტურობის შთაბეჭდილებას აღწევდა, ასეთია, მაგალითად, სურათი „ციხისჯვრის მიდამოები“ (1954 წ.). ეს პეიზაჟიც ქვევიდან ზემოთაა გაშლილი, ისე რომ უკანა პლანზე აღმართული მთები სურათის ზედა ჩარჩოს ებჯინება და ცისათვის ადგილი აღარ რჩება. მაგრამ, ამავე დროს, მთები დიაგონალურად იკვეთება ხევებით, რომელთაც სიღრმისაკენ მიჰყავთ თვალი. პეიზაჟის ამგვარი აგების შედეგია ის დინამიკურობა მოძრაობა, რომელიც ახასიათებს მის სურათებს მაშინაც კი, როცა გამოსახულია თავისთავად სრულიად მშვიდი მოტივი.

სხვაგვარადაა განხორციელებული სივრცის აგება სურათში „ციხისჯვარი“ (1955 წ.). სურათის პირველ პლანს ორსავე მხრიდან კულისისებურად განლაგებული ხეები საზღვრავენ, შორეული პლანის ნისლით დაფარული მთები ერწყმის ცას. ანალოგიურადაა აგებული პეიზაჟი „ციხისჯვარი“ (1952 წ.), რომელშიც პირველი პლანის ხეთა ტოტებს უკან აგრეთვე დათოვლილი შორეული მთები მოჩანს. სივრცის შთაბეჭდილებას ქმნის პლანების დაპირისპირება და ჰაეროვანი პერსპექტივა.

ამ პერიოდში მხატვარი განსაკუთრებით ხშირად წერს მონაცრისფრო-ღრუბლებიან და ნისლიან პეიზაჟებს. აღსანიშნავია, რომ მისი ფერწერის მანერა ამ დროს პასტოზურია. პასტოზურად არის დაწერილი პირველი პლანის ხეები ზემოთ განხილულ სურათებში. მხატვარი პირველი პლანის საგნებს უფრო ხელშესახებად, მოცულობითად გამოსახავს, რაც ჰაეროვნებასა და სიმსუბუქეს მატებს შორეულ პლანს. ხშირია ამ პერიოდში ჰაეროვანი პერსპექტივის ასეთი გამოყენება სივრცის შესაქმნელად, ზოგჯერ კი მხატვარი ილუზორული სივრცის შექმნასაც ისახავს მიზნად, როგორც, მაგალითად, სურათში „ცხვრის გადარეკვა“ (1949 წ.). რამდენიმე პეიზაჟზე მთები ნისლით არის დაბინდული, ან მოყავისფრო-მონაცრისფრო ნეიტრალურ ტონალურ გამაში დაწერილი პირქუში კლდეები ღრუბლებითა და ნისლითაა დაფარული.

იმ პეიზაჟებს შორის, რომლებიც ბუნების სხვადასხვა მდგომარეობას და, შესაბამისად, სხვადასხვა განწყობილებას გადმოსცემენ, განსაკუთრებული პოეტურობით გამოირჩევა სურათი „წვიმიანი დღე“ (1956 წ.). აქ ნაზი სევდა შექმნილია მოლურჯო-ნაცრისფერი ტონებით, და შესაძლებელია, მთის კალთაზე მიმავალი განმარტოებული მგზავრის ფიგურით. ასეთივე ლირიკული განწყობილებითაა გამსჭვალული ამ პერიოდში შექმნილი ქალაქის პეიზაჟები. მაგალითად, „თბილისი. ნისლიანი დღე“ (1953 წ.). მუქი მწვანე კვიპაროსების უკან მოჩანს ქალაქი, დათოვლილი სახურავები, ქარხნის მილები, საიდანაც ამოსული რუხი ბოლი ზამთრის მოცისფრო ნისლს უერთდება და თითქმის ფარავს ქალაქის შორეულ ხედს. განსაკუთრებული ოსტატობითაა გადმოცემული ნისლით დამძიმებული ჰაერი.

ამ პერიოდის ერთ-ერთი ყველაზე მშვენიერი ნამუშევარია „თბილისი, განთიადი“ (1952 წ.). ეს ხედი მხატვარმა თავისი სახლის აივნიდან დაწერა. პირველ პლანზე ფოთლებგაცვენილი, დაკორებულტოტებიანი ხეებია, შორს კი დილის ვარდისფერ ნისლში მტკვარი და ხიდი მოჩანს. ეს პეიზაჟი დილას განათებისათვის დამახასიათებელი ნაზი სითბოთია აღსავსე. სურათს განსაკუთრებულ სილამაზეს ანიჭებს შორეული, გამჭვირვალე სივრცის მოოქროსფრო-ვარდისფერი ტონების დახვეწილი შეხამება შედარებით მუქ მოვერცხლისფრო-ყავისფერთან, რომლითაც დაწერილია პირველი პლანის ცოცხალი და მსუბუქი ტოტები.

ამ პერიოდის სურათების უმრავლესობას ახასიათებს ჰაეროვანი პერსპექტივის გამოყენებით შექმნილი ეფექტები, ნისლით დაბინდული შორეული პლანები, ილუზორული სივრცის შექმნის ცდა. 20—30-იან წლებთან შედარებით, ამ პერიოდის სურათებში ფერები მკრთალია, თავშეკავებული, ხშირია ყავისფერი, ლეგა, ნაცრისფერი, მოლურჯო ტონები. პასტოზურად დაწერილი პირველი პლანები უპირისპირდება შორეულ სივრცეს. დეკორაციულობა, ჩვეულებრივ, თვით მოტივის ამორჩევაში ვლინდება.

50-იანი წლების ბოლოს ელენე ახვლედიანი ბევრს მოგზაურობდა საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებსა და საზღვარგარეთ. უკრაინაში, ბალტიისპირეთსა და ჩეხოსლოვაკიაში მოგზაურობის შედეგად მან შექმნა მთელი სერია სხვადასხვა ტექნიკით (აკვარელი, ტემპერა, გუაში, ტუში) შესრულებული ნამუშევრებისა, რომლებიც კიდევ ერთხელ ცხადყოფენ საერთოდ ბუნების თავისებურების წვდომისა და ასახვის უდიდეს უნარს.

50-იანი წლების შუა ხანებიდან, როცა საქართველოს სახვით ხელოვნებაში მკაფიოდ გამოვლინდა გამოსახვის ახალი საშუალებების ძიება, ხოლო ფერწერაში განსაკუთრებით გამახვილდა ყურადღება ფერისა და კოლორიტის პრობლემებზე, განსაკუთრებულ სიკაშკაშეს იძენს ელენე ახვლედიანის პალიტრა, მისი სურათების „დეკორაციულობა უფრო აშკარა, შეიძლება ითქვას, ზოგიერთ ნამუშევრებში — დემონსტრაციული გახდა, ფერების თანაფარდობა კი სწორად პლაკატურად მკვეთრი"[18]... ფერს დაუბრუნდა სურათში ემოციურობის ერთ-ერთი საწყისის ფუნქცია, კოლორიტის ხელოვნური სიმკრთალე გაქრა. ხაზგასმულად დეკორაციული ხასიათი აქვს, მაგალითად, პეიზაჟებს „კახეთი" (1957 წ.), „გომბორის გადასასვლელზე" (1957 წ.), „იმერეთი" (1959 წ.) და სხვ. ამ ნამუშევრებში მთები, ველები, ხეები, სიბრტყობრივად არის შესრულებული, მათში თითქოს ჩაღვრილია სუფთა ფერები: ყვითელი, იისფერი, ნარინჯი, ლურჯი, მწვანე და წითელი. მათი ინტენსიურობა კონტრასტული დაპირისპირების შედეგად კიდევ უფრო იზრდება. საგნების ფერადოვანი ლაქები კონტურებითაა შემოხაზული, ხაზგასმულია მთების ტეხილი ხაზი, ხეთა ვარჯების მოყვანილობა, გზების კლაკნილი დინება. პირველი პლანი ამ დეკორაციულ პეიზაჟებშიც გამოყოფილია ხოლმე, იგი უფრო კაშკაშა, ინტენსიური ფერებით იწერება ვიდრე შორეული. კომპოზიციების მაორგანიზებელი ფერია, მთავარი ფერადოვანი ლაქა ან ფერადოვანი აქცენტების ერთობლიობა. ნამუშევრების ამ ჯგუფით მხატვარმა თითქოს ხარკი მოიხადა სუფთა ფერის წინაშე.

ეს ხაზგასმული დეკორაციულობა და ფორმის სიბრტყობრივი გაგება მომდევნო ნამუშევრებში აღარაა, მაგრამ ამ პეიზაჟებით იწყება მისი შემოქმედების ახალი ეტაპი. ახალ ნამუშევრებში ფერი ინარჩუნებს ინტენსივობას, თანაფარდობა კი — კონტრასტულობას, თუმცა არც ისე ხაზგასმულს, როგორც ზემოხსენებულ პეიზაჟებში. ეს ელენე ახვლედიანის სურათებს ახლებურ ელეგანტურობას ანიჭებს.

ბოლო პერიოდი სურათების ფერადოვანი გადაწყვეტის მრავალფეროვნებითა და თემატიკური სიმდიდრით გამოირჩევა. ელენე ახვლედიანის ტილოებზე მაყურებელი კვლავ ხედავს საქართველოს სხვადასხვა კუთხეს: იმერეთს, კახეთს, რაჭასა და სხვა მაღალმთიან რაიონებს, რომელთა კლდოვანი ხეობები

---

[18] В. В. Бериидзе, Н. Езерская, Искусство советской Грузии (1921-1970), М, 1974,с. 96.

და ალპური ბალახით დაფარული ფერდობები განსაკუთრებით იზიდავენ მხატვარის თვალს. მთის კალთებზე მოხდენილადაა შეფენილი სოფლები და ძველი არქიტექტურული ძეგლები, რომლებიც საქართველოს გმირული ისტორიის გამოძახილად აღიქმება და პეიზაჟს რომანტიკულ ხასიათს ანიჭებს. მთის კალთები დასერილია გზებითა და ბილიკებით, რომლებიც მაყურებელს ადამიანის სიახლოვეზე მიუთითებენ. ზოგჯერ პეიზაჟში, ისევე როგორც წინა წლებში, მას შეჰყავს ადამიანების ცალკეული ფიგურები და მთელი ჯგუფები; ისინი არა მარტო აცოცხლებენ ბუნების სურათს, არამედ თავისთავადაც გამომხატველი არიან. არქიტექტურული ძეგლებიდან განსაკუთრებით ხშირად ვხვდებით მის ტილოებზე უჯარმის ციხეს, გრემის ანსამბლს, უფლისციხისა და მცხეთის ჯვრის ტაძარს. ამ სურათების უმრავლესობა არადოკუმენტურია, მაგრამ ყოველთვის სწორადაა გაგებული ძეგლის ხასიათი, ასახულია ხუროთმოძღვრებისა და ბუნების ორგანული შერწყმა. ელენე ახვლედიანი კვლავ მიმართავს ქალაქის პეიზაჟებს — სიღნაღის, გურჯაანის, ქუთაისისა და თბილისის ხედებს. მხატვარი რელიეფისა და ხუროთმოძღვრების თავისებურების გამოვლენით ქმნის ამ ქალაქების პოეტური განწყობილებით აღსავსე მხატვრულ სახეებს. განსაკუთრებული მრავალრიცხოვნებითა და მრავალფეროვნებით გამოირჩევა თბილისის პეიზაჟები, რომელსაც მხატვარმა ნამუშევრების მთელი სერიები უძღვნა, ხოლო 1965 წელს კი — ცალკე გამოფენა. ნარიყალას ციხით დაგვირგვინებული ძველი თბილისის ხედებს უძღვნა მან ლირიკული ხასიათის მცირე ზომის სურათები და მონუმენტური ტილოები (ზომითა და თავისი გადაწყვეტით). ამ თემებზე მას მრავალი ვარიაცია აქვს შექმნილი, რომლებშიც ხედვის ასპექტის, კოლორიტული გამის, განათების ეფექტის შეცვლით, ყოველთვის რაიმე ახალი ელემენტი შეაქვს. ხშირად მხატვარი თავისი სურათებისათვის ბუნების „არაჩვეულებრივი მდგომარეობის“ მოტივებს (მაგალითად, „მზის ამოსვლა“, „ქარიანი დღე“, „უკანასკნელი სხივი“, „განთიადი თბილისში“ და სხვა), ან წელიწადის სხვადასხვა დროს ირჩევს. მაგ., ერთ-ერთ პეიზაჟში ასახავს ის დრო, როცა თბილისში ალვის ხეები ყვავის და ქარი მწვანე ფოთლებს შორის დააქროლებს ბუმბულივით მსუბუქ თეთრ თესლებს.

ელ. ახვლედიანს წელიწადის დროთა შორის ყველაზე მეტად ზამთარი უყვარდა. ამ თემაზეა შესრულებული ნამუშევრების მთელი სერია: ზამთარი ჯახეთში, თელავში, სიღნაღში, რაჭაში, თბილისში. 1968 წლის თბილისის ზამთარს, რომელიც უჩვეულოდ დიდხანს გაგრძელდა, ელ. ახვლედიანმა თავის სახელოსნოში საგანგებო გამოფენა მიუძღვნა.

თბილისის თემაზე შექმნილ ნამუშევართა შორის განსაკუთრებით გამოსახატველია ძველი თბილისის სურათები, რომლებიც ქალაქის ძველი შუკების, აივნიანი პატარა სახლების, მათი შიდა ეზოების სილამაზეს ასახავენ, მაგალითად, „ძველი და ახალი თბილისი“ (1961 წ.), „უკანასკნელი მოჰიკანი“ (1965 წ.) და სხვა. მის ნამუშევრებში აგრეთვე წარმატებითაა გადმოცემული ახალი ქა-

ლაქის ცალკეული სახლებისა თუ მთელი უბნების მშენებლობა. 1971 წლის მაისში მხატვარს რუსთაველის სახელმწიფო პრემია მიენიჭა, რის საპასუხოდაც მან თავის სახელოსნოში მოაწყო გამოფენა, რომელიც ახალი თბილისის თემას მიუძღვნა.

აღსანიშნავია, რომ ელენე ახვლედიანის ნამუშევრებში პეიზაჟების თემატურ სიმდიდრეს გამოსაბვის მხატვრულ საშუალებათა სიმდიდრე შეესაბამება. საინტერესოა, რომ ის თავის ნამუშევრებს უშუალოდ ნატურიდან არასოდეს არ ასრულებდა, ფანქრით გაკეთებული ძალიან სწრაფი ჩანახატებით, ზოგჯერ ფერის ან ტონის აღნიშვნით კმაყოფილდებოდა. თანდაყოლილი და წლების მანძილზე კიდევ უფრო გავარჯიშებული მხედველობითი მეხსიერება საკმარისი იყო დასახატის წარმოსადგენად; და გასაოცარია, რომ თავისი შთაბეჭდილების აღდგენას რამდენიმე წლის შემდეგაც ახერხებდა. ყველა მის სურათს ნატურის სისტემატური შესწავლა, მოტივის ღრმა წვდომა და ის განცდა ედო საფუძვლად, რომელიც ბუნების ჰვრეტით ექმნებოდა. ბუნება მასში ძალიან ცხოველ გამოძახილს პოვებდა. ეს თვისება წლების მანძილზე ძლიერდებოდა. მშობლიური ბუნების ხედვის ასპექტები სულ უფრო და უფრო მდიდრდებოდა, ხოლო ფორმალური საშუალებები ამ განცდილისა და ნანახის გამოსახვას ემსახურებოდა. ბოლო წლებში ფერადოვანი და კომპოზიციური გადაწყვეტის მრავალფეროვნება განსაკუთრებით უწყობდა ხელს პეიზაჟური მოტივის ახლებურად აჟღერებას. მხატვრულ მიდგომათა სხვადასხვაობის საილუსტრაციოდ გამოდგება შედარება იმ პეიზაჟებისა, რომელნიც ერთსა და იმავე თემას ასახავენ და დაახლოებით ერთსა და იმავე ქრონოლოგიურ მონაკვეთში არიან შესრულებული. ასეთია, მაგალითად, დიდი სურათი „იმერეთი" (1963 წ.) და 1965 წ. შესრულებული „იმერეთის პეიზაჟი". ორსავე შემთხვევაში მხატვარი გვიხატავს იმერეთის მთაგორიან ლანდშაფტს, მთის კალთებზე გაბნეული პატარა სახლებით.

პირველი სურათის ფერადოვან გამაში ინტენსიური მწვანე და ლურჯი ფერი ჭარბობს, პირველ პლანზე უფრო მუქი, რაც სიღრმის შთაბეჭდილების შექმნას უწყობს ხელს. მთის ფერდობზე წითელსახურავიანი სახლებია, ალუბის ხეების მუქი ვერტიკალებითა და ძველი კოშკებით, რომლებიც ქმნიან კომპოზიციის მაორგანიზებელ აქცენტებს. მთის კალთაზე ბილიკები მიიკლაკნება. კოშკების, სახლების, ბილიკების ხაზების განლაგება რიტმულია, რაც აიძულებს მნახველს თვალი ააყოლოს ტილოს ზედაპირს ზევითკენ, სადაც ძალიან მსუბუქადაა გამოსახული თოვლიანი მოცისფრო მთები და ცის ვიწრო ზოლი. ძველი კოშკების ნანგრევებს ერთგვარი რომანტიკულობა შეაქვთ სურათში. ხოლო ადამიანთა ჯგუფები, რომლებიც გამოსახულია პირველ პლანსა და სიღრმეში, მონუმენტურად ჩაფიქრებულ პეიზაჟს გარკვეულ მასშტაბურობას ანიჭებს. სრულიად კონკრეტული დეტალების მიუხედავად, ესაა პეიზაჟი— სურათი, რომელიც იმერეთის განზოგადებულ სახეს გვაძლევს. მეორე, 1965

წელს შესრულებული „იმერეთი“ დაწერილია სწრაფად, ერთი ამოსუნთქვით და გასაოცარია განწყობილების გადმოცემის უშუალობითა და ფერის სილამაზით. ორ კლდეს შორის მოჩანს მთები, პატარა სახლებით კალთებზე. მთები (შესრულებული ყვითელში გარდამავალი ღია მწვანეთი) აღმართულია თითქმის სურათის ზედა ჩარჩომდე. მათ ზევით კი ჩანს ვარდისფერი ცის პატარა მონაკვეთი. ფერები კაშკაშაა, მაგრამ თხლად დატანილი, ისე რომ ალაგ-ალაგ ტილოც კი მოჩანს, რაც განსაკუთრებულ სიხასხასეს ანიჭებს ზედაპირს. ულტრა-მარინით, ზუქი მწვანეთი და ღვინისფრით (კრაპლაკით) დაწერილ პირველი პლანის კლდოვან მთებს მუქი, თითქმის შავი კონტური აქვს შემოვლებული. მეორე პლანის ფერები იგივეა, რაც პირველისა, მაგრამ მათი ზედა შრე აღებულია მასტეხინით. ხედვის წერტილის შერჩევა და ფერთა კონტრასტი ქმნის დაძაბვას. იგი შეესაბამება განწყობილებას, რომელიც მოიცავს კაცს, როცა მის წინ ხეობიდან გამოსვლისას, უეცრად, ახალი ხედი გადაიშლება. როგორც ჩანს, მთის ბუნებისათვის დამახასიათებელი ამგვარი მომენტების შეგრძნობისა და გადმოცემის უნარი განაპირობებს ელენე ახვლედიანის ნამუშევრების სპეციფიკურ ეროვნულ ხასიათს. ფერი დატანილია ფუნჯის ტალღისებრი მოძრაობით, რომელიც მთის ფერდობის ფორმას მიჰყვება. ფერის ფენაზე ამოკაწრული ხაზებით კიდევ უფრო გაძლიერებული ეს მოძრაობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს პეიზაჟის დინამიკურობასა და ექსპრესიულობაში. ამ სურათში განსაკუთრებით ნათლად ჩანს, თუ როგორ ემორჩილება ელენე ახვლედიანის ტექნიკა თვით მოტივს. ერთსა და იმავე თემაზე შესრულებული ეს ორი სურათი სრულიად სხვადასხვაგვარ შთაბეჭდილებას ტოვებს. პირველ შემთხვევაში — განზოგადებული პეიზაჟია ოდნავ ამაღლებული, რომანტიკული განწყობილებით, მეორეში კი — ბუნების პოეტურად აღქმის შედეგად შექმნილი, ლირიზმით გამსჭვალული მხატვრული სახე.

თუ ელენე ახვლედიანისა და დავით კაკაბაძის იმერეთის პეიზაჟთა სერიებს შევუდარებთ ერთმანეთს, სრულიად ნათელი გახდება ამ ორი დიდოსტატის მხატვრულ მიდგომათა განსხვავებული თავისებურება. თუ დავით კაკაბაძის სურათების გამომხატველობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მათი აგების ტექტონურობასა და მკაფიო ხასიათს, რომელიც ბუნების განზოგადოებით გამოსახვას ემორჩილება, ელენე ახვლედიანის სურათებისათვის ამოსავალია ემოციური საწყისი, მხატვრის დამოკიდებულება ბუნებისადმი.

ელენე ახვლედიანის შემოქმედებაში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოღვაწეობის პირველივე წლებიდან გარკვეული ადგილი დაეთმო ძველი ქართული არქიტექტურის ანსამბლების, ეკლესიებისა და ციხე-კოშკების გამოსახვას. ეს თემა ბოლომდე გაჰყვა მის შემოქმედებას. ძეგლების შერჩევა, ისევე როგორც მოტივის ხორცშესხმა, ცხადყოფს მხატვრის ტენდენციას — გაუსვას ხაზი რომანტიკულ განწყობილებას და ნატურასთან სიახლოვე შეინარჩუნოს. მაგალითად, 1947 წლის ზაფხულში, წერს მწვანეში ჩაფლულ უჯარმის ციხეს და

კვლავ იმეორებს მას 1963 წ. ამ წელს შექმნილი სურათისთვის მხატვარი მაღალი ხედვის წერტილს ირჩევს. კედლების სილუეტი მკაფიოდ იკვეთება ცისფერი მთების ფონზე, ხოლო პირველი პლანი მთლიანად უჭირავს ხის დაკოჟრილ ტოტებს. რამდენჯერმე აქვს დაწერილი შატილი. ერთ-ერთ სურათში სოფელი წარმოგვიდგება მომწვანო-ვერცხლისფერი მთვარის შუქით განათებული, ზღაპრულად ლამაზი და დიდებული. 1970 წელს იგი კიდევ ერთხელ უბრუნდება გრემს და ასრულებს პანორამულ, სიგრძეში გაჭიმულ კომპოზიციას, რომლის ცენტრი აქცენტირებულია მთავარანგელოზის ეკლესიის გუმბათისა და სამრეკლოს ვერტიკალებით. ამჯერადაც, ხაზგასმულია რელიეფისა და შუა საუკუნეების ამ ძეგლის თავისებური ცხოველხატულობა. არანაკლებად იზიდავს მხატვარს მცხეთის „ჯვარი“, თუმცა არ დაუწერია იგი დიდ პლანად. მას აინტერესებდა არა იმდენად ამ ეკლესიის კლასიკურად მკაფიო ფორმები, რამდენადაც ძეგლის მდებარეობა — მთის მოხაზულობის თავისებურება და ამ მთაზე აგებული ხუროთმოძღვრების ძეგლის მოხდენილად შერწყმა. თუ 1959 წელსა და 1960 წელს ამ თემაზე შესრულებულ სურათებში ჯერ კიდევ შენარჩუნებულია ერთგვარი დოკუმენტურობა, 1963 წ. შესრულებულ სურათში მოტივის სრულიად თავისუფალი გადაწყვეტა გვაქვს. ეს ზუსტად ჯვარი კი არაა, არამედ საერთოდ ეკლესია მთაში. მთებიც გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე სინამდვილეში. თვით მოტივის უჩვეულობა — მაღალი მთებით გარშემორტყმული ეკლესიის სიმარტოვე — განაპირობებს რომანტიკულ განწყობილებას, რომელსაც ფერიც ხელს უწყობს. პირველ პლანზე ხავერდოვანი, ღრმა ლურჯი ფერები გვაქვს, შორეული პლანი კი დაწერილია იმ დაბინდული იისფერით, რომელიც გალაკტიონის სტრიქონების ასოციაციას იწვევს („გინახავთ თქვენ ფერი დაბინდულ ქლიავის? — ეს ჩემი სამშობლო მთებია“). სურათის ცენტრში მოქცეული მზის სხივებით განათებული მოყვითალო ეკლესია, მთების კონტურების მოუსვენარი ხაზები, ყვითელი ბილიკები ლურჯ კალთებზე, არათანაბარი განათება — დაძაბულობის, მოუსვენრობის განწყობილებას ბადებს.

პეიზაჟი „უფლის ციხე“ (1966 წ.) დეკორაციულად სიბრტყობრივადაა აგებული. მისი გამომხატველობა პირობითი ფერადოვანი გადაწყვეტითაა მიღწეული: ყვითელი ცა, მთების ულტრამარინი, მუქი, შავი კონტურებით შემოხაზული ფორმები. თვით ხედვის წერტილიც უჩვეულოა — პეიზაჟი დაწერილია ერთ-ერთი გამოქვაბულიდან, ისე რომ გამოქვაბულის უსწორმასწორო მონახაზი პირველ პლანზე პეიზაჟის ჩარჩოდაა გამოყენებული. შორეული პლანი — სოფელი, მდინარე და მთების ქედი თეატრალური დეკორაციის საქუსარს მოგვაგონებს.

ძველი ხუროთმოძღვრების ძეგლები ელენე ახვლედიანის ქალაქის პეიზაჟებშიცაა ჩაწერილი. ის არ არიდებდა თავს დიდ პანორამულ ხედებს, თუმცა

განსაკუთრებით უყვარდა ძველი ქალაქის ცალკეული, ინტიმური ხასიათის კუთხეების გამოსახვა. ზოგჯერ დიდ პეიზაჟებშიც მას ლირიკული მომენტები შეაქვს. ამ მხრივ საინტერესოა მისი ის სურათები, რომლებშიც გამოსახულია ძველი თბილისის უბნები ნარიყალას მიდამოებში. 1965 და 1966 წლებში ის ორ დიდ ტილოს ასრულებს, რომლებიც მსგავსი არიან ხედვის წერტილის შერჩევით, მაგრამ ფორმატითა და კოლორიტული გადაწყვეტით განსხვავდებიან. ამიტომ იქმნება სრულიად სხვადასხვაგვარი შთაბეჭდილება. პირველი სურათი ჰორიზონტალური კომპოზიციაა, მეორე — სიმაღლეზეა გაშიმული. პირველი პეიზაჟი დაწერილია ოქროსფერი საღებავით დაფერილ გრუნტზე, ისე რომ ცა ოქროსფრადაა დატოვებული. ოქროსფერი სარჩული ზოგ ადგილას ფერის ფენის ქვეშაც ჩანს. ამ გრუნტის გამო, მთელ სურათს აქვს თბილი, ოქროსფერი ბზინვადობა, ოდნავ შესამჩნევი, მაგრამ გარკვეული დეკორაციული ეფექტის შემქმნელი, ხოლო იმ ადგილებში, სადაც ოქროსფერი კლდის მოყვითალო ტონის ქვეშაა მოქცეული, იგი წმინდა გამომსახველობით ხასიათსაც იღებს. ასეთ დაგრუნტვასთან დაკავშირებით გვაგონდება უტრილო, რომელიც ნახერხსა და ქვიშას ურევდა გრუნტს ფაქტურის ეფექტის გაძლიერების მიზნით.

ძველი თბილისი დაწერილია მეტეხის მხრიდან (მარცხენა კუთხეში მოჩანს კლდისა და ეკლესიის კედლის ნაწილი). გაღმა მხარე მთლიანად არაა კომპოზიციაში მოხვედრილი, ჩანს მხოლოდ ნარიყალა და მის ძირში მდებარე სახლები, რომლებიც მათ ზემოთ აღმართულ ციხეს მასშტაბს უქმნიან. პეიზაჟის ქვემო ნაწილს თითქოს მოლურჯო ჩრდილი ეფინება, რომელიც შუა ნაწილის მოყვითალო-მწვანე მთის ოქროსფერში გადადის. ამ მთაზე აღმართული ნარიყალას კედლები ჩრდილში მონაცრისფრო-ვერცხლისფერია, ხოლო განათებულ ნაწილებში მოვარდისფროდ ელვარებს. სურათის ოქროსფერი და ლურჯი ტონები ერთიან ჟღერადობას ქმნიან, თუმცა შუა პლანის შესრულებისას მხატვარი თავს არ იზღუდავს ფერის გამოყენებაში.

მეორე „ნარიყალა" ვერტიკალური კომპოზიციაა, ისევ მტკვარს გაღმა მხრიდან დანახული. ქვემო ნაწილში მოჩანს მთაზე შეფენილი ძველი პატარა სახლები და მეჩეთის ვერტიკალური მოცულობა: ამ ნაგებობებს აქაც ნარიყალას ნანგრევები აგვირგვინებს. ციხის უკან იასამნისფერი ქედი და ღრუბლიანი ცა მოჩანს, რომელსაც არ უკავია დიდი ადგილი, რადგან ციხის კოშკი სურათის ზედა ჩარჩომდე ადის. ამ სურათის ფერადოვანი გადაწყვეტა უფრო თავშეკავებულია — მოყავისფრო-მოწითალო ტონები, მწვანე ტონები მოლურჯო ჩრდილებით. განსაკუთრებით მიმზიდველია სურათის ქვემო ნაწილი — მთაზე უსწორმასწოროდ განლაგებული სახლები. მეორე პეიზაჟი თითქოს უფრო მართებულად გადმოსცემს სინამდვილეს, ნატურას, მაგრამ პირველი სურათი უფრო ცოცხალი, გამომხატველი და ფერის თვალსაზრისით მდიდარია.

ამ პერიოდის სურათებში კომპოზიციური აგებისა და სივრცის გადმოცემის ვარიანტები განსაკუთრებით მრავალფეროვანი ხდება. ასე, მაგალითად, სურათში „ძველი საბურთალო" (1965 წ.) შუქნანში ჩაფლული, უსწორმასწოროდ განლაგებული სახლის სახურავები მოცემულია ზემოდან (აქ ისევ აივნიდან ან ფანჯრიდანაა ხედი) ისე, რომ არ მოჩანს ცა, განათების ეფექტის გამოყენება მხატვარს საშუალებას აძლევს სახურავების სიბრტყეებისა და ფოთლების მოძრავი, მთრთოლვარე მასები მთლიანობაში გამოსახოს. აქ ეხედებით კომპოზიციის თავისუფალ გადაჭრასა და სივრცობრივ აგებას ფერადოვანი ლაქებით. ხშირად პეიზაჟებში მათ სიბრტყობრივ-დეკორაციულობას ესმება ხაზი. მაგალითად, სურათში „სახლები მეტეხის კლდეზე" (1965 წ.) სახლები თაღუბიანი აივნებით სურათის სიბრტყის პარალელურადაა გაშლილი. დეკორაციულ მომენტს შეიცავს და განსაკუთრებულად გამომხატველია ფერების კონტრასტი — სურათის ქვემო ნაწილში მუქი ნაცრისფერი კლდე, ხოლო ზემო ნაწილში — კაშკაშა, სუფთა ფერებით დახატული სახლები. ასევე დეკორაციულად სიბრტყობრივია, მაგრამ სრულიად სხვა ხასიათს ატარებს კომპოზიცია „ძველი თბილისის ბაზარი" (1964 წ.), რომელიც რეპლიკაა თვით მხატვრის მიერვე შესრულებული დეკორაციის ესკიზისა სპექტაკლისათვის „მზის დაბნელება საქართველოში". ახალ ნამუშევარში კომპოზიციური სქემა თითქმის არაა შეცვლილი, მაგრამ ახალ გამომხატველობას ანიჭებს მას დინამიკური, გრაფიკულად მკვეთრი ხაზი, რომელიც საგანთა კონტურებს შემოხაზავს. ზოგიერთ შემთხვევაში მხატვარი ზღუდავს, კეტავს სივრცეს, რაც განსაკუთრებით ხშირია მაშინ, როდესაც ქალაქის ინტიმური, მყუდრო კუთხეებია ასახული. მაგალითად, სურათში „ძველი თბილისის კუთხე" (1965 წ.) სიღრმისაკენ მიმართული ქუჩა უხვევს იმგვარად, რომ სივრცე სახლებით იზღუდება, ხოლო გვერდები ფლანკირებულია ჩარჩოთი გადაჭრილი ფასადებით, სცენის დეკორაციისებურად. ამ პატარა ზომის სურათში კვლავ ვხედებით პირველი პლანის ჩამუქებას, მაგრამ ამჯერად სიღრმეში მყოფი საგნები ინტენსიური ფერებითაა შეწრულებული. განსაკუთრებით კაშკაშებს წითელი აქცენტები და ფირუზისფერი ცა.

საინტერესოა, რომ ზოგჯერ მხატვარი განწყობილებას ქმნის ფერის თავისთავადი, ემოციური ზემოქმედების გამოყენებით, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ჩანს თბილისის ერთი და იმავე კუთხის გამომხატველი ორი სხვადასხვა დროს დაწერილი სურათის — „ძველი თბილისის კუთხე" (1964 წ.) და „ძველი თბილისის კუთხე" (1969 წ.)—შედარებისას. ამ სურათების კომპოზიციების აგების სქემა, არსებითად, მსგავსია — მარცხენა მხარეს გადმოკიდებულია აივანი, სიღრმეში ხეებს უკან სახლებია, რომელთაგან ერთი აივნიანია. პირველ პლანზე ქალები ფენენ სარეცხს. პირველი სურათი ზაფხულის მზიან, ხალისიან დილის განწყობილებას გადმოგვცემს. ინტენსიური ლურჯი ცისა და

ყვითელი სახლების კონტრასტი, ისევე როგორც მწვანე ფოთლებისა და წითელი სახურავების ფერთა კონტრასტი, მაყორულ ფერადოვან ჟღერადობას ქმნის. მეორე კომპოზიციაში ცა მოყვითალოა, იასამნისფერში გარდამავალი, აივნები — თეთრი, ჩამქრალია სახურავების ფერიც, ღია ფერის ფონზე იკვეთება ხეების მუქი ტოტების მკვეთრი ნახატი. ამ სურათში სრულიად სხვა, პირველისგან განსხვავებული, სევდიანი განწყობილება იგრძნობა.

ამ პერიოდში, როგორც აღვნიშნეთ, ახალი თბილისის თემასაც დიდი ადგილი ეთმობა და ძალიან ხშირად ახლის შენება ძველთან მიმართებაშია ნაჩვენები. არქიტექტურის ხასიათის დაპირისპირებით მხატვარი მეტყველების განსაკუთრებულ ბაღას აღწევს. ასეთია, მაგალითად, სურათი „თბილისი" (1964 წ.). ორ ახალ, ძალიან მაღალ სახლს შორის ჩანს ძველი სახლები, მათ იქით კვლავ მაღალი სახლები, რომლებიც ფარავენ ცას. ეს ახალი სახლები რკალად ეკვეთება ძველ პატარა შენობებს. ხაზგასმულია კონტრასტი — ძველი ცხოველხატული სახლები, კრამიტის სახურავებით, რიყულებიანი აივნებით და უამრავი მინაშენით უპირისპირდება უზარმაზარ, სადა, ახალი შენობის კორპუსებს. ამ სურათში, რომელშიც ფერი ძალიან თავშეკავებულადაა ნახმარი, გვაქვს ნაზი მონაცრისფრო-მოყვითალო ტონებისა და წითლის (სახურავებისათვის) შეხამება, სრული სიცხადით ჩანს მხატვრის განწყობა, მისი უზომო სიყვარული ძველი ქალაქისადმი.

მეორე მხრივ, მის ზოგიერთ ნამუშევარში გადმოცემულია ახალი მშენებლობის ის სიხარული და პათოსი, რომელმაც მოიცვა ბოლო ათეულ წლებში თბილისი. ასეთია სურათი „სასტუმრო შენდება" (1966 წ.), რომელიც სასტუმრო „ივერიის" მშენებლობას ეძღვნება. უკვე თვით წითელი, ლურჯი, ყვითელი, ცისფერი ფერების შეხამება მაყორულად განაწყობს მაყურებელს. პირველ პლანზე არის დიდი ხე ღია მწვანე ფოთლებით, ფართოდ გაშლილი ტოტებით; მის უკან კი უწესრიგოდაა გაბნეული ძველი პატარა სახლები. ამ უსწორმასწორო ნაგებობებს ზემოთ აღმართულია ახალი სასტუმროს შენობა, რომელიც ჯერ ხარაჩოებშია. მაგრამ ცხადად იგრძნობა მისი თანამედროვე ფორმების, ტექტონურობა, სისადავე, სიმტკიცე.

მშენებლობის დიდი გაქანება აისახა მის ერთ-ერთ ბოლო სურათში „ახალი თბილისი" (1975 წ.). რომლის პირველი პლანი ისევე ჩრდილში მოქცეულ ძველ სახლებს ეთმობა, ხოლო მათ უკან განათებულ უზარმაზარ სივრცეში გარკვეულ, მოფიქრებულ რიტმში, ხეებს შორის, ახალი კორპუსებია მოთავსებული.

სრულიად ახალ, უჩვეულო იერს იღებს თბილისი ელენე ახვლედიანის ზამთრის პეიზაჟებში, რომელიც ასახავს იმ იშვიათ დღეებს, როცა ქალაქი დათოვლილია და საზეიმოდ გამოიყურება. ზამთრის ახალ პეიზაჟებში თოვლი ისე აღარაა დაწერილი, როგორც მის ადრეულ სურათებში. ახლა ჩრდილების შესრულებისას მხატვარი თეთრას ლურჯ ფერს უმატებს, ხოლო განათებულ ნა-

წილებს — მოვარდისფრო და მოყვითალო ტონებს, რომლებიც ფართო სიბრტყეებადაა დადებული, ზოგჯერ კი კონტურითაა შემოვლებული. თოვლით დაფარული ამ დიდი სიბრტყეებისა და სახლების უფრო მუქი სიბრტყეების (ჩვეულებრივ წითელი და მწვანე ფერის აქცენტებით გაცოცხლებული) მონაცვლეობა პეიზაჟებს თავისებურ დეკორაციულ ხასიათს უქმნის. ზოგჯერ ზამთრის პეიზაჟებში თხრობითი ელემენტიც შედის—ბავშვების თამაში, გუნდაობა და სხვა. ამგვარი თხრობითი მომენტები აცოცხლებს სურათს, მაგრამ ქანრულ ხასიათს არ ანიშნებს მას. მისი სურათები, უპირველესად ყოვლისა, აღიქმება როგორც პეიზაჟები, თხრობითობას დამატებითი, მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს.

ელენე ახვლედიანი წერდა სურათებს იმის შესაბამისად, თუ რა ამოცანას ისახავდა, რა განწყობილების გადმოცემა სწადდა. წერდა ძველი თბილისის ცალკეულ კუთხეებს, მთელს უბნებს, კონკრეტულ ქუჩას, შუკას, რომელიმე სახლს ან შიდა ეზოს. მისი სურათების სერიის განხილვისას მაყურებლის წინ წარმოდგება სახე ქალაქისა, ძალიან ნაცნობი, მაგრამ მხატვრის პოეტური ხედვით გარდასახული. თბილისი მის საუკეთესო სურათებში ახალ სიცოცხლეს პოულობს.

ელენე ახვლედიანის სურათებისათვის, იქნება ეს ლანდშაფტური პეიზაჟი თუ არქიტექტურული პეიზაჟი, დამახასიათებელია უმთავრესად მაღალი ჰორიზონტი. ხედვის წერტილის შერჩევა ან კომპოზიციის გადაჭრა ხდება იმგვარად, რომ სურათის სიბრტყე ან მთლიანად დედამიწას უპირავს, ან ცის მხოლოდ მცირე მონაკვეთი ჩანს. ამის გამო მისი სიერცობრივი სურათები იკითხება არა მარტო სილრმისაკენ, არამედ ქვეყიდან ზევითაც. აქ თავს იჩენს, ერთი მხრივ, მხატვრის მიდგომის დეკორაციულობა, ხოლო მეორე მხრივ, ქართული მთიანი ლანდშაფტის სპეციფიკური ხასიათის გამოვლენის სურვილი. ისევე როგორც დავით კაკაბაძის იმერეთის პეიზაჟებში, სწორედ მაღალი ჰორიზონტი არის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება, რომელიც მისი პეიზაჟების მკაფიოდ ეროვნულ ხასიათს განსაზღვრავს. მხატვარი ფართო, თვალუწვდენელ სივრცეებს ქმნის, რასაც მთის ფერდობების, ხეებისა და გზების დიაგონალებით უსვამს ხაზს. საგნებსა და ფერადოვან ლაქებს გამოჰყოფს მოქნილი, თითქოს ოდნავ დაუდევარი ლაღი მონასმებით, რომლებიც მხატვრის ხელის მოძრაობას გვაგრძნობინებენ, აერთებენ სურათის სიბრტყეს და გამოსახულებებს თავისებურ, ახვლედიანისეულ ექსპრესიულობას ანიჭებენ.

ელენე ახვლედიანს დიდი შემოქმედებითი თავისუფლება ახასიათებს. როგორც აღვნიშნეთ, იგი თავს არ იზღუდავს არც თემისა და არც მხატვრულ საშუალებათა შერჩევაში. არ შეიძლება იმის თქმა, რომ მას შესრულების ტექნიკა არ აინტერესებს, რადგან ზოგი მისი სურათი (ძველიცა და ახალიც) ძალიან გულდასმითაა შესრულებული. ის ზოგჯერ ექსპერიმენტსაც აყენებს (ასეთია, მაგალითად, „ნარიყალა“ ოქროს ფონზე), მაგრამ ტექნიკაც ყოველ-

თვის მოტივის, განწყობილების გადმოცემას ემსახურება. აქედან გვაქვს არა მხოლოდ დიდი ჟანრობრივი მრავალფეროვნება, არამედ მხატვრულ ასპექტთა სიმრავლე თვით ჟანრის ფარგლებშიც. მხატვარი ბუნების განზოგადებულ სახეს ქმნის, მაგრამ ამასთან მის პეიზაჟებს აქვთ კონკრეტულობა, რომელიც მათ თავისებურ დამაჯერებლობას ანიჭებს. მისი პეიზაჟები მონუმენტურია, მაგრამ ამავე დროს ინტიმურიც, სივრცის დეკორატიულ-სიბრტყობრივ აგებასთან ერთად გვაქვს ჰაეროვანი პერსპექტივით შექმნილი სივრცეებიც.

ამ ცვალებადობისა და მრავალფეროვნების დროს, სურათის ზოგიერთი ფორმალური თვისება (მიდგომის დეკორაციულობა, სივრცის აგებისას — მაღალი ჰორიზონტი), ისევე როგორც ცალკეული თემისა და მოტივისადმი სიყვარული, მისი მხატვრობისთვის სპეციფიკურ მნიშვნელობას იძენს. მთელ მის შემოქმედებას გასდევს კახეთის პეიზაჟისა და ძველი თბილისის თემისადმი განსაკუთრებული სიყვარული. შესაძლებელია, სწორედ კახეთის პეიზაჟმა აგრძნობინა ელ. ახვლედიანს პირველად ბუნების სილამაზე და მხატვრის მოწოდება, ხოლო ძველი თბილისის ქუჩებისა და სახლების წერაში ჩამოყალიბდა იგი როგორც მხატვარი. მთელი ცხოვრების მანძილზე შეინარჩუნა მხატვარმა ამ თემისადმი არა მხოლოდ ერთგულება, არამედ ხედვის უშუალობაც.

ალექსანდრე ციმაკურიძე, დავით კაკაბაძე, ელენე ახვლედიანი არიან მხატვრები, რომელთა შემოქმედება საერთო რეალისტური მიდგომის ფარგლებში სრულიად სხვადასხვა ხასიათს ატარებს და დღევანდელი ქართული პეიზაჟური ფერწერის განვითარებას საფუძველს უქმნის.

, ალექსანდრე ციმაკურიძე, რომლის სურათები კონკრეტული ადგილის პლენერზე შესრულებას ემყარება, სიღრმივ-სივრცობრივ ამოცანებზე ამახვილებს ყურადღებას. დავით კაკაბაძე და ელენე ახვლედიანი ბუნების განზოგადებულ სახეს ქმნიან და უმთავრესად პეიზაჟური სივრცის დეკორაციულ გაგებას გვაძლევენ. ეს მისწრაფება დეკორაციულობისაკენ აახლოვებს ამ ორ სრულიად სხვადასხვა ტემპერამენტისა და ხასიათის მქონე მხატვარს. სამყაროსადმი მათი დამოკიდებულება პეიზაჟურ სურათებში პოვებს გამოსახვას. ელენე ახვლედიანთან კი ბუნების სურათს ერწყმის მისი საკუთარი, შინაგანი მდგომარეობა, რომელიც ხშირად განაპირობებს როგორც მოტივის შერჩევას, ასევე მის ხორცშესხმას და წარმოგვიდგენს მხატვარს, როგორც, ე. წ. „განწყობილების პეიზაჟის“ დიდ ოსტატს.

ЕЛЕНА АХВЛЕДИАНИ

Деятельность Елены Ахвледиани — народного художника Грузинской ССР, лауреата премии Руставели — занимала значительное место в художественной жизни Советской Грузии. Она, как человек и художник, представляет одно из самых ярких явлений в истории советского грузинского искусства. Начав свою деятельность в период становления нового грузинского искусства, она наряду с выдающимися художниками Давидом Какабадзе, Кетеван Магалашвили, Ладо Гудиашвили, оставалась его активным творцом на протяжении полувека. Широта художественных интересов сочеталась у нее с большой продуктивностью. Ее яркая индивидуальность проявилась в живописи, графике, театрально-декорационном искусстве, но особенно значителен ее вклад в развитие грузинской пейзажной живописи.

Елена Дмитриевна Ахвледиани родилась 18 апреля 1901 года в городе Телави, где в то время работал ее отец — военный врач. В Телави и его окрестностях проходило ее детство и первые впечатления, получившие отражение в ее детских рисунках, связаны именно с этими местами. С холмов, на которых расположен город, виден один из самых прекрасных ландшафтов в Грузии — величественная Алазанская долина и снежные горы Кавказского хребта. Уцелевшие стены и башни древней цитадели, узкие, подымающиеся в гору, мощенные булыжником улицы, утопающие в садах дома с ажурными деревянными балконами, еще до последнего времени сохраняли Телави присущее только старым городам своеобразное очарование. Особое пристрастие к этому городу и вообще к кахетинскому пейзажу художница сохранит навсегда и уже зрелым мастером, в различные периоды своего творчества, неоднократно будет писать пейзажи Кахетии, Алазанскую долину, живописные улицы города Телави.

Рисовать Елена Ахвледиани начала очень рано, однако систематический характер ее занятия приняли в годы учения во Второй Тиф-

лисской гимназии. Ее дарование привлекло внимание преподавателя Н. Склифосовского, посоветовавшего ей посещать уроки рисования и в художественном училище. Н. Склифосовский, первый учитель рисования Елены Ахвледиани, был опытным педагогом, страстно любившим свое дело и умевшим заинтересовать своих молодых учеников.

Его учениками, в разное время, были А. Бажбеук-Меликов, И. Гамрекели, К. Зданевич, В. Ходжабеков, С. Кобуладзе, С. Вирсаладзе, В. Цилосани и др. Большинство из них внесло значительный вклад в становление и развитие советского грузинского изобразительного искусства. Как вспоминала Е. Ахвледиани, Н. Склифосовский стремился правильно направить и максимально выявить художественные возможности своих учеников, привить им любовь к тщательному изучению натуры, знакомил их с работами старых мастеров и современных художников. Именно с этой целью повез он своих учеников, в том числе и Елену Ахвледиани, в Москву. В этой поездке для нее самым сильным было впечатление, произведенное работами Врубеля.

Рисунки и наброски, исполненные в юные годы, поныне хранятся в мастерской — ныне музее Елены Ахвледиани. Несомненно, сохранилась всего небольшая часть работ этого времени — в молодости, так же, как и будучи известным художником, она любила дарить свои работы. Однако, даже эти, случайно дошедшие до нас, зарисовки позволяют представить круг ее интересов и проследить зарождение моментов, нашедших в дальнейшем свое развитие в ее творчестве. Самые ранние из работ помечены 1910 — 1914 годами; к 20 годам количество рисунков возрастает. Эти, выполненные карандашом на бумаге, рисунки свидетельствуют, как внимательно всматривалась будущая художница в окружающий мир и стремилась зафиксировать привлекающие ее явления. С увлечением рисует она маленькие жанровые сценки, в самом отборе и трактовке которых проявляются способность остро подметить характерное, а иногда — задор и чувство юмора, набрасывает интерьеры и пейзажи, зарисовывает фигуры крестьян за работой, иногда исполняет их портреты. Она зарисовывает маленькие сценки, участниками которых являются близкие ей люди и члены ее семьи. Такова, например, удачно скомпонованная группа в уютном интерьере старого дома («Игра в карты», 1920 г.). В этой группе выделяется ее подруга Анна Вардиашвили. Ее вновь встречаем в карандашном портрете 1922 года — и опять в профиль

изображено красивое лицо с тонкими чертами, тщательно нарисованы кудрявые волосы, подробно разработан рисунок одежды, которая мелкими складками драпирует фигуру, передана фактура блестящей поверхности ткани. Это законченный рисунок, тщательностью исполнения напоминающий рисунок старых мастеров. 1922 годом помечен карандашный рисунок, изображающий старую женщину из села Сабуе. Голова ее повязана надвинутой на лоб черной повязкой. Все внимание сосредоточено на лице, занимающем почти весь лист. С беспощадной точностью изображено испещренное морщинами лицо, светлые, большие, страшные, смотрящие на зрителя, глаза, запавшие тонкие губы и крупный, крючковатый нос. В некоторых рисунках форма обрисована очень четкими, смелыми контурами («Буйвол», 1922 г.), придающими декоративность ее рисунку. Здесь можно вспомнить, что впоследствии такая обрисовывающая форму, а иногда цветовое пятно, волнистая линия будет придавать и ее живописным вещам специфическую для них декоративность.

Среди этих ранних работ привлекает внимание исполненный карандашом и помеченный 1917 годом «Базар», где фигуры крестьянок, сидящих на земле и предлагающих свои товары покупателям, изображены на фоне старого Тбилиси, впоследствии занявшего столь значительное место в ее творчестве. Этот рисунок интересен и тем, что он был использован при создании живописной картины (которая была выставлена и осталась в Париже). Обращение к зафиксированным ранее мотивам, использование и переосмысление их, иногда даже через много лет, вообще характерно для Елены Ахвледиани. В этих ранних рисунках часто встречаем различные предметы, утварь и одежду, характерные и бытовавшие еще в первой четверти нашего столетия, а ныне встречающиеся только в этнографических коллекциях. Зарисована покрытая ковром арба — «Чардахиани уреми» (1921 г.) — на такой арбе ее возили в окрестные села, причем, с увлечением и почти документальной точностью нарисован узор ковра. Зритель чувствует удовольствие, испытываемое ею, когда она зарисовала, глиняные сосуды красивой формы и различные детали одежды — крестьянскую обувь — «каламани» и маленькую шапочку, которую носят в Кахетии (фигура крестьянина, 1921 г.). Она исполняет рисунок, изображающий интерьер старинного крестьянского дома — дарбази в селении Дигоми (1922 г.). И здесь как бы предвосхищается мотив, использованный ею в своей работе зрелого периода — «Грузинский натюрморт», где центральное место уделено дедабодзи, т. е.

столбу, на который опирается перекрытие крестьянского дома. Эти рисунки яркое свидетельство того, что еще в юности она смогла увидеть и оценить особую, целесообразную, отработанную многими поколениями мастеров, красоту народных изделий. Всю жизнь будет она собирать предметы из металла, керамику и ковры, созданные народными мастерами. И когда смотришь ее ранние рисунки, начинаешь понимать, как органично связана с творчеством самой художницы прекрасная коллекция, составляющая ныне неразрывную часть ее художественной мастерской.

В этих ранних рисунках с полной отчетливостью ставилась задача изучения натуры и передачи характера. Примечательно при этом, что, несмотря на подробность в изображении деталей и старательное исполнение, молодой художнице удается избегнуть раздробленности формы. Подробная разработка очевидно диктовалась стремлением не упустить ничего важного и интересного, желанием по возможности полнее и глубже познать и отобразить окружающее. В этих ранних вещах уже видно умение почувствовать внутреннюю конструкцию предметов и правильно распределить их в пространстве. Некоторым же из этих ранних рисунков присущи выразительность и то стилистическое единство, которые будут свойственны ее работам в будущем.

В 1919 году Елена Ахвледиани впервые выставила свои работы на выставке грузинских художников и с этих пор навсегда связала свою жизнь с искусством Грузии.

Основание Тбилисской Академии художеств (1922 г.) имело решающее значение в деле воспитания национальных художественных кадров Советской Грузии. В 1922 году Елена Ахвледиани поступила на живописный факультет Академии. Непосредственным ее руководителем был Гиго Габашвили — в то время уже снискавший всеобщее признание, как один из основоположников реалистического грузинского искусства, живописец. С первых же шагов, в студенческих работах Е. Ахвледиани проявила свой яркий темперамент, независимость и нежелание подчиняться установленным академическим законам. Однако работа над натурой, а в частности занятие пейзажной живописью приняли систематический характер. Вспоминая, много лет спустя, эти времена, Е. Ахвледиани придавала особое значение своей работе над пейзажами старого Тбилиси, которую она проводила вместе с группой молодых художников под руководством Б. Фогеля. С первого курса ее отправляют за границу стипендиантом Академии

художеств. 1922 — 27 гг. она провела за границей. Полтора года путешествовала в Италии, сравнительно долго жила в Риме, Флоренции, Венеции, Милане. Посещала музеи и очень много рисовала. Сохранились зарисовки этого времени: улицы и старые дома Венеции, Милана, римского Колизея, Сан-Ремо, а также написанные маслом картины. В 1924 году молодая художница приезжает в Париж.

Интенсивная, напряженная художественная жизнь Парижа являлась прекрасной школой для начинающей художницы. Изучение работ старых мастеров в музеях чередовались с посещением выставок современных художников, где интересны были не только сами работы, но и бесконечные споры приехавших со всех концов мира в Париж художников, ищущих новых путей в искусстве. Это было время выставок кубистов, сюрреалистов и других «левых».

